

# ნების აღმშენებელი

საქართველოს-აზერბაიჯანის  
-სოციალ-დემოკრატიული-  
-პარტია-




-1919-

ნოემბერი, № 11



I—სძინავთ, —სურათი . . . . .	1
II—მოკვდა ჩიტი, —დექსი ახსნაბირუღისა . . . . .	3
III—ალი, —იარ. კვდაშვიდისა . . . . .	4
IV—ფოთლები, —გ ქუნიშვიდისა . . . . .	10
V—აბტალა, —(დეკანდა) კვდა კ—ისა . . . . .	15
VI—განთიადი, —დექსი ი. სხარუღიდისა . . . . .	18
VII—„ის,“ —შოთხრობა შაშინ სიბირიაკისა, (თარგ.) კვ. ან- ტონოვსკისა . . . . .	20
VIII—ტყვეობაში, —(თარგმ.) შ. კვამიაშვიდისა . . . . .	27
IX—ივანე შარაშიძის ხსოვნას, —იტა ნაკაშიძისა . . . . .	40
X—საქართველო, —(რწმუნანა ჭ წყუღებანი, გაგრძელება) შ. ჟანაშვიდისა . . . . .	44
XI—მითოლოგია, —ტროადის ომი, —ად. შაქაბერიძისა . . . . .	53
XII—აბრეშუმის ჭია, —იტა ნაკაშიძისა . . . . .	57
XIII—გასართობი: გეოგრაფიული ამოცანა, გამოცანე- ბი და აღსნა . . . . .	64





## მოკვდა ჩიტი.



უმოდგომის ქარიშხალი  
ტყეში ჰქროდა, გრიალებდა;  
ხეს ტოტი ზე ატყუებოდა  
და ფოთოლი შრიალებდა.

ნისლი იდგა, შავი ნისლი,  
ღრუბელთ შორის სრიალებდა;  
ირყეოდა მთა და ბარი,  
ღრიალებდა, ზრიალებდა.

ჩიტი-გვრიტი ბუჩქის ძირას  
გულის სახმილს იალებდა;  
სიკედელს ცელი მოედერა  
და მის გარსა ტრიალებდა.

მოკვდა ჩიტი. ქარიშხალი  
იღარ დაჰქროს, არ გრიალებს;  
იღარა სდგას შავი ნისლი,  
არც ღრუბელი დასრიალებს,  
და მარტოდენ ობოლი ტყე  
გულ-საკლავად ჰვენეს, შრიალებს!..

ბ. ახოსპირელი.



## ა ლ ი.

(ნამდვილი შემთხვევა).

8

ამთრის ღამეა, გძელი და მოსაწყენი. მართალია—ოთახში ვსხედვართ, მაგრამ ვიცით, რომ გარედ, უკუნეთ სიბნელეში, თოვლის თეთრი ვარსკვლავები ერთმანეთში არეულ-დარეულნი, ნელ-ნელა, ზღაზვნით ცვივიან ძირს. არავითარი ხმაურობა... ხანდისხან სოფლის რომელსამე კუთხეში ქოფაკი თუ შეჰყეფავს. მაგრამ ისიც უხალისოდ, ზარმაკად. ემხნევა, რომ არც მას მოსწონს ეს გულ-გასაწყალებელი წყვილი, სიცივეც არ აყენებს კარგ გუნებაზე. ჩვენი ბუხარიც ხან უცებ აჰკრავს აღს, მოაეღებს ცეცხლის ენას ახლად მიწყობილ შეშას, ხან აკომლდება, თითქოს სახე შეიკმუხენაო.

— სთქვით რამე, ყმაწვილებო, რას გაჩუმებულხართ!

ველარ მოითმინა სანდრომ და მოგემართა ჩვენ—მის ორ ამხანაგს.

სანდრო ჩვენზე უფრო ნაზი გულისა იყო და ემჩნეოდა მას უფრო ძრიელ სტანჯავდა საფლავისებური სიჩუმე, ბუნების მგლოვიარობა.

— მე რაც სათქმელი მქონდა—წელანვე გაუათავე, მაგნზე მგნსაღი უკეთეს ჩემი თავ-გადასავალიდან ველარაფერს გიამბობთ!

მიუგო მიხაკომ, და თითქოს რითიმე მაინც უნდოდა სიჩუმე დაერღვია, ბუხარში ცეცხლს ჩინჩილი დაუწყო.

სანდრომ მე შემომხედა. ზივხვდი რაც უნდოდა ეთქვა და, რადგან ვიცოდი, რომ თვით სანდრო ვერაფერი მობაასე იყო, ათასი გულითაც სდომებოდა ჩვენი გამხიარულება, მეც ჯობრი აღარ გაუწიე და დავიწვეე ჩემი თავ გადასავალიდან ერთი შემთხვევა.

„ამაწვილებო, ამ წყვილად ღამეში, როდესაც ჰოტიც-კი გაჩუმებულია, ურიგო არ იქნება მოვიგონოთ ღამაში, მხიარული გაზაფხული!“

სანდროს სახეზე ღიმილი ათამაშდა.

„ღიახ, ღამაში გაზაფხული ჩვენი ღამაში საქართველოსი. აი, ერთ ამისთანა გულ ვარდა გაზაფხულის დროს მოვეტანე ქიზიყის ერთ სოფელში. უნდა მოგახსენოთ, რომ უმეტეს ნაწილს ქიზიყის სოფლებისას კალოები დაშორებული აქვთ თხუთმეტ, ოც, ოცდა ათ ვერსის მანძილზე. ამიტომ გაზაფხულობით მთელი სოფლები ჯალაბობით აიყრებიან ხოლმე და გადადიან კალოებზე სამუშაოდ, საღეწად; შინ,—სახლში საყარაულოდ მხოლოდ უძღური ბებრები და რჩებიან, ან და ისინი, ვისაც არაფერი არა აქვს სამუშაო, საღეწი, შინ შემოსატანი.“

აი, სწორედ ამისთანა დროს, როგორც მოგახსენეთ, მოვხვდი ქიზიყის ერთ სოფელში და მეც იქით გამწია გულმა, სადაც ამდროს ხალხი გაჩაღებულ მუშაობაში იყო. მაგრამ, რადგანაც დღისით ძრიელ ცხელა, მე შეღამებას უცდიდი, ველოდებოდი ღამის სიგრილეს; მით უმეტეს, რომ ძრიელ მიყვარს გაზაფხულ-ზაფხულობით ტყე-ღრეში ხეტიალი.

რალა ბევრე თავი შეგაწყინოთ, ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც მე ცხენით გაუდექ გზას კალოებისკენ, უნდა გამეველო ოციოდ ვერსი. ეს გზა ახლაც მიიკლავნება ცივ-გომბორის მთის და ალაზნის ველის შუა.



ცხენს ვაშურებდი, რომ მალე გავცლოდი მართლაც ერთი საათის სიარულის შემდეგ უკვე მთლად ბუნების გულში ჩაინთქე.

მხარ-მარჯვნივ მომდევნა ტყით-დაბურული ცივ-გომბორის მთა, მხარ-მარცხნივ-კი—ბიბინა ალაზნის ველი. მე და ჩემი ცხენი ხან დავემალეობოდათ მთვარეს მალალ, ტოტებ გახლართულ ხეების ქვეშ, ხან ბექზე ასულ გზიდან კვლავ გამოუჩნდებოდით. მე თვით ვერ გავიგე რამ მომტაცა თვალი, ან ფიქრი; ვგრძნობდი-კი, რომ მივდიოდი რაღაც ზღაპრულ ქვეყანაში,—არა, მივდიოდი-კი არა, მივფრინავდი. შოლოდ როდესაც ერთ ადგილს ცხენმა გზას გადაუხვია, მივხვდი, რომ კარგა მანძილი გამეველო,—გზა თითქმის გამენახევრებინა. ამ ადგილს, ცივ-გომბორის ძუძუდან წყარო მოწყობილებდა და ცხენმაც ჩვეულებრივ იქით გადაუხვია, მისკენ მიაშურა. საწყალი ქურანა ძრიელ დამელაღნა, ალბად „ფრენის“ დროს ძრიელ ხშირად უქნევდი ფეხებს და ისიც ირჯებოდა!

ნამდვილი მოსასვენებელი ადგილი იყო და მეც ვადმოვხტი ცხენიდან. ქურანამ მადლობის ნიშნად თავი წამოიღო ჩემკენ, რომ ლაგამი წამეძრო პირიდან. ზეც ლაგამი წამოვყარე, უნაგირის თავზე გადაუგდე და თოკით, რომლის წვერიც ხელში მეჭირა, მიუშვი მწვანე ხავერდზე. ცხენი ხარბად დააკვდარძიან ბალახს; მე-კი იქავე, წყაროს პირს, მხარ თედოზე წამოვწვიქ.

„ოჰ, დაილოცა შენი გამჩენი!“ ჩავიფურჩულე უცებ, როდესაც შევხედე ჩემს პირდაპირ ამართულ კავკასიონის მთას. მთვარე სამხრეთისკენ გადახრილიყო და თვისი სხივები პირდაპირ გულში დაეცა მისთვის. თვალი ერთი მწვერვალიდან მეორეზე გადადიოდა, მთის ქედები ერთმანეთში იხლართებოდნენ, ერთი მეორეს მისდევდნენ, თამაშობდნენ, ხტოდნენ, დარბოდნენ. ვერ მოვასწრობდი ყური დამეგდო რას გამოძახოდა რომელიმე ცაში ატყორცნილი წვერვალი, რომ მის მხარ-და-მხარ ქალთ-ეთერივით ლამაზი, თვალეზ-მოელვარე და მკერდ-აღელვებული კონცხი თვისკენ მეძახოდა სიმღერით!

დიად, მღეროდა მთა, მღეროდა ისე კი არა, როგორც ვმღერით ხოლომე ჩვენ, ადამიანები,—არა ეს ზეციური ჰანგი იყო! ასე შეუძლიან იმღეროს მხოლოდ უკვდავმა და არა ჩვენისთანა მომაკვდავმა ადამიანმა. მისი იღუმალის ჩურჩული, ხან ტკბილი აღერსი, ხან კი მედიდური ვაკეატური ყვილი მის ქედთა ქვეშ ადგილ-ადგილ გაშლილ, ადგილ-ადგილ კი ჩაბურულ ჩაბვეულ „ქიაური“-ს\*) ტყეში იფინებოდა: იყინებოდა იქ და ფოთლების ჩანგზე აწკრილებდა სიმებს. მე არ ვიცი, შეიძლება ამ დროს მეც ვმღეროდი, ან ვსტროდი... მახსოვს კი, რომ მთის ქედზე ამჟამად გადმომდგარ ჯიხვს ყელზე ვეხვეოდი და ვსთხოვდი პატივებს, ვ'თხოვდი მეგობრობას... ჯიხვი უნდობლად მიყურებდა. მართალიც აყო, ან კი როგორ უნდა გვენდნენ ეს ბუმბერაზი მთის წყნარი შვილები თოფიან ადამიანებს? ამ ტკბილ ბურუსში ვიყავე გახვეული, ყმაწვილებო, როდესაც უცებ რაღაც ხმაურობა მომესმა. ეჭვი არ იყო—გზაზე ვიღაც ცხენიანი მოდიოდა. ამ ხმამ მოსტაცა მთას ჩემი ფიქრი. მე მაინც ეჭვით ყური დავადე მიწას, ახლა-კი დავრწმუნდი, რომ მტერიან გზას ვიღაცას ცხენის ფეხი მძლავრად და გაჩქარებით სცემდა. მე ფეხზე წამოვიჭერ, —ცოტა არ იყოს შეეფიქრიანდი, რადგანაც წინა დღეებში, სწორედ ამ ადგილას, ალაზანს გაღმიდან გადმოსულმა ლეკებმა ცხენები დაიტაცეს. ზედ ხანჯლის მეტი არა მქონდა-რა. ცხენს ლაგამი ამოვსდე, თოკი აუკეცე და გამოველ გზის პირას, რომ მხედრის ვინაობა გამეგო. ისე ამოვეკარ ხშირ ხეებს, რომ მომავალი ვერ შემამჩნევდა, გავხედე გზას და ჩემი თვალები გაგანიერდნენ. არა, ეს ლეკები არ იყვნენ. არც მათი ყაჩაღობისა შემეშინდებოდა ისე, რომ თვალის კაკლებს ქლუთუთოები დაექიმნათ. არა, ჩემკენ მოჰქროდა თეთრებში ჩაცმული, თმა-გაწეწილი ქალე. მოქენებულ ცხენს წინიდან ნიაფი სცემდა,

\*) „ქიაური“-ს ტყე :ლაზნის მარცხნივ; იხარეს მდებარეობს.



ქალის თმები ერთმანეთში ირეოდნენ, კაბის კალთები სწორად  
 ლებდნენ.

„რა უნდა აქ ამ დროს ქალს, მარტოდ-მარტო, ცხენ-ზე. არა, მე ვიცი ჩვენი ქალების მოკრძალება: ისინი შებინდებისას მარტონი ეზოს გარედაც-კი არ გამოდიან. აქ-კი ქალი, მარტოდ-მარტო, ტყე-ღრეში! მოჩვენება ხომ არ არი?! წუთიც, და მისმა აწითლებულმა სახემ, გაელვარებულმა თვალებმა, გაქანებულმა ცხენმა წინ გამიქროლა.

ალი! სწორედ ალი! არა, ეს ადამიანი არ არის!

შიშის ზარმა, შიშის ერუანტელმა ელექტრონიკით დამკრა ქოჩორიდან ქუსლებამდე. მე გავშეშდი. ნუ თუ მართლა?! ვეკითხები ჩემს თავს.—მაგრამ მე რომ არა მწამს მანვ სულელების არსებობა! მე... მე... ხომ კრუ-მორწმუნე არა ვარ!—თითქმის დავკვიღვ ჩემ თავს გუნებაში და მოვახტი ცხენს.

სიტყვა გამიგრძელდა, ყმაწვილებო, მაგრამ ეს ყველაფერი ერთ წუთს მოხდა. აღს უკან გამოვეკიდე. ის მიაჭენებდა ცხენს შუა ბილიკზე, მე მარცხნივ ალაზნის ველიდან გვერდზე გავაყოლე ცხენი.

ქურანამ ითაკილა მათრახი და რამდენიმე სკუბით უკვე მის გვერდით გაეჩნდი, მაგრამ კოტა მოშორებით-კი გავყე.

„ვინა ხარ შენ?“ შეუძახე უცნაურ მხედარს.

ის ხმას არა მცემდა.

„მოვიდა ტყვია!“ დავემუქრე განგებ. ახლა-კი იკადრა ცხენის კოტაოდნად შეჩერება.

„ვინა ხარ, ძმაო?“—შემომეკითხა ის თავის მხრივ.

„რაო, ძმავოო?“ ასე იციან მგონი შეტყუილება ალ-ქაჯებმა,—გავიფიქრე გუნებაში.

„რა გინდა შენ აქ, ამ დროს?“

„მეზობლები მიდიოდნენ წმინდა ელიაში“) სალოკავად, კალოსკენ უნდა გამოველოთ და მათ გამოვყე.

\* „ელია“ ანუ წმინდა ილია.

„მერე?“

„გზას გადაუხვიეს და მარტო დაერჩი!“

„რატომ იმათ არ გაჰყე?“


„არ მინდოდა ჩემ თავად ხატს შევწყვიტებოდი \*): მერეც მომიკითხავს“.

ჩენი ხალხის ცრუ-მორწმუნეობის ვარაუდით, კვასთან ახლო იყო მისი პასუხი და ახლა-კი სრულეობით დავ შევიდდი.


როდესაც ახლო მიველი, გავიგე, რომ ეს იყო ჩენივე სოფლიდან, ალი-კი არა, ნამდვილი ადამიანი—ქალი, რომელმაც შიშის ზარა დასცა ბუნებაში ჩანთქმულ ჩემ გრძობა-გონებას.

მე და ჩემმა უცნაურმა მხედარმა ერთად განვაგრძეთ გზა ხსენებულ კალოებისკენ.

ი. ევდოშვალი.




\*) ხალხის ცრუ-მორწმუნეობით, თუ ერთხელ მივიდა უცხო ეკლესიაში, სადაც მკითხავემ არ ურჩია ლოცვა, ეს ეკლესია მეორედაც მოიკითხავს.



## ფოთლები.

### I



რორ! სსსს!.. უპ, უპ, უპ, უპ! რა აღ-  
რე აცივდა...

შრიანებდნენ ფოთლები და თან  
ერთმანეთს ეკვროდნენ, რომ გაშმაგე-  
ბულ ქარს ძირს არ ჩამოეყარა...

— და, და, და, და!.. რა შშვენე-  
რი, რა ცხოველ-მყოფელი რამ იყო გაზაფხული...

იგონებდნენ ფოთლები.

— ყველაფერი ჰყვოდა და ხარობდა... ჩვენც სიციცხ-  
ლე მოწყურებულნი უხვად ვსრუტავდით სუფთა ჰაერსა, —  
გათენდებოდა თუ არა დილა, ასტყდებოდა ფრთოსნების  
სტვენა-ჰიკჰიკი და ტყის მთელი სამფლობელო ათას ჰანგზე  
ახმაურდებოდა ხოლმე...

რა კარგა აყო იგი დრო.

რა ნეტარებით ვსტკებოდით;

ჭრელ ფერების ტყეით,

სიცილით ვახატებოდით...



შემოდგომა დადგა და სიციხის მაჯის ცეცხლი წყდა...

მზე ნაცრის-ფერ საბანში გაეხვია...  
 ყვავილებმა დაიყვავილეს...  
 ნიაფი სადღაც გადაიკარგა...  
 მგალობელი ჩიტუნებიც უცხოეთისაკენ მიემგზავრებიან...  
 ყველაფერი ყრუდგება...  
 სიცარიელე მყარდება...  
 ვრცელ არე მარეში მხოლოდ ჭარილა ჰქრის ზუზუნით...

## II

— ჩუ!.. ეს ვისი ხმაა?—წაიჩურჩულეს ფოთლებმა და შრიალი შესწყვიტეს.

— ბულბულია, დებო, ბულბული!

— ჰო, მართლა ის არის!

— საწყალს ალბად დაუგვიანდა შორეულ მხრისაკენ წასვლა!

— ახლა თუ აპირებს გამგზავრებას!

— ვინ იცის, იქნება ნაღვლობს საქართველოს დაშორებას!

— რა სევდიანად, გულ-ამოსკვნით გალობს ეგ სულ-მნათი, ეგა...

ყური უგდეთ:

— მიდას, მიფრინავს

ყველა ფრთასანა,

ველს შშენაურსა

ქნება ფერი;

მეგ კაზაფხულის

სატრფო მგოსანა,



შწარედ ვღონდება...

აღარა ვმღერო...

— ეჰ, ბუღბუღო, ბუღბუღო! შწარედა ვღონდებო,—  
 ამბობ შენ... შერე რა?! დადგება გაზაფხული და ისევ ისე  
 გამხიარულდები და ალტაცებით შემოსძახებ შენებურ ტია-  
 ტიას!

ბრალი ჩვენი, რომ ბუნების მომავალ შეჯლის ველარ  
 დავესწრობით, თორემ შენ რა ვიკირს...

— მაგრამ ტურფა გაზაფხულია  
 ჩვეულებრივ ისევ მოვა,  
 და სიამით შემეჩველება  
 დღევანდელი მოთქმა, კლავა...

დაადასტურა ბუღბუღმა და გაფრინდა...

### III

რას ამბობენ ტყის დაღვრემილი ხეები?  
 აბა მოისმინეთ:

— ჩვენ ამწვანებულ წი ღში  
 სულ უვაილები ხარობდნენ;  
 ღაღ-გულ-გიუმჯი წყარონი,  
 მღეროდნენ, მოციხარობდნენ,  
 ათას-ნაირ-გვარ ჩიტუნებს  
 გაჰქონდათ ვივიღ-ხივიღა;  
 ვიღას ახსოვდა წარსულის  
 სიმწარე, გულის ტკივიღა.  
 ახლა-ვი ისევ სიცივე,  
 ძეგბეგი შიშველ ტანითა;  
 ნეტავ კვლავ მალე გვეღირსოს,  
 ვიმოსებოდეთ მწვანითა...

## IV

მთები?!

მთები რაღასა ფიქრობენ?

აი რას:

— ბუნების ცვალებადობა  
 ღვთის შეუცვლელი წესია;  
 მან უფრო უწყის კარგადა—  
 რა დროს რა უკეთესია.  
 მიტომაც ვდგევართ : მუად,  
 არვის წინ ქედს არ ვახრათა;  
 მობურული ვართ ნადავ  
 ხისდ-მოხუცი ფიქრითა ..

ფოთლები კი, გაყვითლებული ფოთლები, ისევ ისე განაგრძობდნენ ჩივილს:

— დებო, საყვარელო დებო! ყველამ მიგვანება თავი... ჩვენთვის აღარავისა სკალიან, აღარავის შესტკივა გული... რისთვის-ღა ვრჩებით მარტოდ-მარტო: ის არა სჯობია ჩვენც ფრინველებთან ერთად გაეფრინდეთ?


— შრრრ! . სჯობია, სჯობია!— ახმაურდნენ ფოთლები და გაისმა მათი მოწოდების ხმა:

ჩვენ უშემწყო,  
 სუსტი ფოთლები,  
 სიცივისაგან  
 ვუვითლდებით,  
 გვკნებით;  
 ოჰ, ჩქარა, ჩქარა!  
 დავექროდეთ ქარა,  
 შენ ბევედრებით

და ბებუბებით.  
 არა, აღარ გვსურს  
 უოფნა ამგვარი,  
 მოგვწვებთა ტოტებს  
 და გავვებტანე;  
 მხოლოდ ეს ჩუენი  
 მოთქმა და ზარი  
 გთხოვთ, მესაფლავე,  
 ზამთარს გადასცე.


გ. ქუჩიშვილი.





# ახტალა\*).

(ლეგენდა).



მერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, ხალხიც დაასახლა და ამ ხალხთან გამოგზავნა ერთი ქალი, რომელსაც უნდა ევლო მთელ დედამიწაზე და, სადაც კი შეიძლებოდა, ხალხის მწუხარება უნდა შეემსუბუქებინა. ეს ქალი იყო ლამაზი, როგორც მაისის დილა, ნარნარი ტანისა, მშვენიერი წაბლისფერ

თმისანი. იმის მუქლურჯ თვალებში იხატებოდა ლეთაებრივი ნეტარება და კაცობრიობის ღრმა ტანჯვა-მწუხარება ტანჯულთ იგი ევლინებოდა როგორც მზის სხივი ღრუბლიან დარში.

\*) ახტალას უწოდებენ სამკურნალო ლაფს კახეთში, ს. გურჯაანის მახლობლად. ეს ლაფი დიდი ხანია ცნობილია თავის სამკურნალო თვისებებით: საუტხოვოდ არჩენს სხვა-და-სხვა კანის სნეულებას, მაგ. მუნს, ეგზ მას, პსორიზმს, და სხ. ქარებს, თიადორას, ჯირკვლების და ძვლების სიმსივნებს და ტუბას, დედაკაცის ზოგიერთ ავადმყოფობას და სხვ. სამწუხაროდ, სრული მოუწყობლობის გამო ბევრი ავადმყოფი ვერ სარგებობს ამ ლაფით. ირგვლივ ერთი სახლიც არ მოიძებნება, სადაც შესაძლო იყოს თავის შეფარება. ს. გურჯაანი თითქმის ორი ვერსის მანძილზე დაშორებული და აქდან სიარული, მაგალითად—ქარებიანი



დიდხანს მგზავრობდა ეს მშვენიერი არსება და ბაღის მწუხარებას და ტანჯვას უმსუბუქებდა. იმას შეეძლო ყველასთვის რამე ნუგეში ეცა: დედისთვის, რომელმაც დაჰკარგა ერთადერთი შვილი. შეეძლო მწუხარება შეემსუბუქებინა; სატრფოსთვის, რომელმაც დაჰკარგა საყვარელი არსება და თვალის ჩინი, — ნუგეში ეცა. შეეძლო დაემშვიდებინა ქმარი, რომელსაც მოუკვდა დაუფიწყარი მეუღლე.

მხოლოდ მას არ შეეძლო ათასნაირ სწეულის განკურნვა. იმისა ყურები დაიღალა მათი ოხვრის-მოსმენით; იმისი მშვენიერი თვალები მოიქანცა ავადმყოფთა ცქერით. იმის გულს აღარ შეეძლო უბედურთა ტანჯვის ატანა. ის დაიღალა ავადმყოფთა შორის სიარულით; მათი შორჩენა-კი არ შეეძლო.

დიდხანს იფიქრა, როგორ ეშველნა უბედურთათვის; ბოლოს მიჰპარათა უფალს.

ერთ დილას, როდესაც მზემ მოჰფინა თავისი სხივები ქვეყანას, ეს მშვენიერი არსება გავიდა მინდორზე, რომელსაც გარშემო ტყით დაბურული მთები დასცქეროდნენ, მოისმოდა ფრინველების ვალობა და ნაკადულების ჩუბჩუბი; დაიჩოქა, აღაპყრო ხელები ხეცისკენ და წარმოსთქვა თვალ-ცრემლიანმა: „ჩემო კეთილო მამავ, მოხედე ამ საწყალს, ათასი სენით

ავადმყოფისათვის, აუტან ღია. ამის მიუხედავად ამ ბოლო დროს მაინც ბევრი ავადყოფი ეტანება ამ ლაფს და რამდენიმეჯერ ბანაობის შემდეგ გნკურნებელი ბრუნდება შინ.

აბტალას ლაფი ნა რის ფერისაა, მოსკო, ნავთის სუნჩინი, მარილიანი გემოსი; ამოჰქებს შედ ადგილას, სვე-და-სხვა ზომის აუნებში. ორი აუზი დიდა და ბუთი პატარა. დიდ აუზე ში საბანებლად გააბაშენ თოკს ერთი კიდიდან მეორემდე და ამ თოკს მჰე ებიან მო'ანავ ნი.

ლაფი ზაფულებით თბილა (18°—19°). ტანიდან ამ ლაფს მოსაშორებლად საჭიროა აქვე ბინული წყლით გაჩანა: სხვა წყალი ისე ადვილად ვერ აშორებს რანიდან ლაფს.

ლაფის უმტეს წილს შეადენს: მაჩილი და ნახშირ-მკაევი ნატარი, ნაკლებს—ნახშირ-მკაევი მკაენები, ნახშირ-მკაევი კირი, კაეის მიწა, იოდი და ბრომი.

რედ.



დატანჯულ ხალხს! ნუ თუ ამდენ უბედურებას არ განა მარტო ტანჯვისთვის არის კაცი გაჩენილი!

ამ დროს მოესმა ხმა ზეციდან:

— შეგიძლიან შესწირო ხალხს შენი სიციცხლე?

ქალმა სიხარულით წამოიძახა:

— შეიწირე ჩემი სიციცხლე, მხოლოდ მიანიჭე სწეულთ განკურნება. მე ერთი წამითაც არ დავიშურებ სულს უბედურთათვის.

ღმერთმა გადასწერა პირველი იმ ადგილს, სადაც ეს ქალი იდგა. შემდეგ შეირყა დედამიწა; რამდენსამე ადგილას გადაიშალა დედამიწის პირი და სქელი, ნაცრის ფერი ტალახი ამოსქდა. ქალმა ეს რომ დაინახა, წამოდგა ფეხზე და გაკვირვებით დაიძახა: — აბ... ტალა... „ხი!“ — უნდა დაეთავებინა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, და იმის ფეხქვეშ უფერად გადაშლილმა უფსკრულმა ჩანთქა.


პირველად დაინახეს ეს ლამაზმა ფრინველებმა: მრავლად ჩამოფრინდნენ ამ ადგილას და ნისკრტით თითო წვეთი ტალახი თავთავიანთ ბუდეში წაიღეს. მერე ათასი სხვა-და-სხვა შინაური პირუტყვი ჩაეშვა ამ ტალახში, რომ ვაგრილებულიყო და მაზეხარი ბუზები მოეშორებინა.


შემდეგ ხალხმაც ნახა ეს ადგილი; ათასობით მოდიოდნენ საბანებლად და მრავალი სწეულებისაგან იკურნებოდნენ.

ზემოდან გადაეფარა ლურჯი ცა და მზემ თვისი ოქროს სხივები მოაფრქვია.

ამ ადგილს სახელად დაარქვეს **აბტალა**.

მლო 3.





# გ ა ნ თ ი ა ლ ი.

(ვეძღვნი თ. ჯღენტს).



ანთიადმა ღამის რიღე  
დასწვა, ცეცხლი წაუკიდა,  
ოქროს ძაფით მოჭარგული  
ცაზე დრო შა გამოჰკიდა.

ზედ დასწერა ცეცხლის ანბნით:  
„გაიღვიძე მთა და ბარო,  
კმარა გლოვა, სრემლთა ფრქვევა,  
დგება ეამი სანეტარო“!..

ცის გულმკერდზე შვების დროშა  
ვრცლად იშლება ნაზი რხევით,  
და სამყაროს, ღამით გვემულს,  
აცისკროვნებს სხივთა ფრქვევით.

ლურჯ ეთერის უსაზღვრო ზღვა  
თრთის, ეღვზნება ვარდის ფერად;  
მზე დათოვლილ მთისა ქედზე  
სხივს აჩქროლებს ოქროს მტვერად.


ტბის ნაპირზე მძინარ სიომ  
გაიღვიძა, ფრთა გაშალა,  
ძირს თავდახრილ ყვავილთ კრება  
ნაზი რბევით წამოშალა.

გაუსწორა თმა-კულუღი,  
ჩამწკრივა, ჩამორაზმა;  
მზის სხივების შესახვედრად  
მოამზადა და მოკახმა.

მზეც ესტუმრა... ვარდზე ნამი  
კრთის, ციმციკებს, ვითა ბაზმა;  
თვალ წარმტაცი ეს სურათი  
მკერდს ჩაიკრა ტბის ემბაზმა.

იქ ნაკადის შხედს მზის სხივი  
გადაეჭლო, აკაშკაშებს;  
აქ ნიავი ტბისა მკერდზე  
ცეკვავს, ქაელსაც ათამაშებს.

ი. სიხარულიძე.





## „ი ს.“

(მოთხრობა შამინ სიბირიაცისა).

### I




ინ არის კურდღელზე უმწეო? კურდღელი თვით შიშია. ოთხფეხა შიში... თითქო იმიტომ დაბადებულა, რომ სიცოცხლე ლაჩრობაში გაატაროს. ოდნავ ფაჩი-ფუჩზე თითქმის გული უწუხდება, შხოლოდ გაქცევით შველის თავს. სხვა ნადირივითაც არ გარბის; ისე გარბის, თითქო თავის კანიდან უნდა გასხლტესო... საზოგადოდ, ჩვენი აზრით, ასეთი სიცოცხლე ყველაზე უსაშინელებსი და სამარცხვინოა. ყოველი სხვა ცხოველი—თრითინა, ყვავი, ბელურაკი თავგანწირულად სიცოცხლეს იცავს; კურდღელი ამასაც ვერ ახერხებს.

ბედშავ კურდღელს თითქო ჩვეულებრივი შიში არა ჰყოფნის: ზედ ემატება ხელოვნურად შექმნილი შიში.

სწორედ ამისთანა დღე გაუთენდა ჩვენ კურდღელს.

ძალიან ცუდ გუნებაზე გაეღვიძა. სორო ბეგოებსა და შაყრუებულ კაობს შუა ჰქონდა. შეუვალი ადგილი იყო; მონადირის ძალღებციკი ერიდებოდნენ ამ ადგილს, რადგან ლე-



ლი ჰკაწრავდა და სისხლს ადენდა თათებიდან. დილით მისი მკურნალის (დედა-კურდღელის) წაეჩხუბა სულ უბრალო მიწის გამო; ეს ჩხუბი ცუდად დაბოლოვდა.

— გაგეტლები, — ეუბნებოდა კურდღელი, — იცხოვრე შენი ბაჭიებით როგორც გენებოს...

— წაბძანდი, — კერპად უპასუხა დედა-კურდღელმა, — უშენოდაც გაეძლებო... რითი მაშინებს! მიბძანდი...

ამგვარად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გულში სულ სხვას ფიქრობდნენ.

ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. მაგრამ რას იზამ? — არ იქნება ოჯახში რამე უსიამოვნება არ გამოერიოს.

— მაშ შენთვის სულ ერთია? — ფიქრობდა გულ-ნატყენი კურდღელი: — მაშ კარგი: გაგაგებინებ რაცა ვარ... ინანებ, მაგრამ გვიან-ლა იქნება.

საქიროა მკაცრად დაისაჯოსო, — გადასწყვატა და კიდევ მოიფიქრა კურდღელმა. იმ ქაობებიდან აღმართი რომ ავიარო ტყემლინ, მერე დაბლა ჩავიდე მდინარემდინ — მშვენიერი სერიანობა იქნება: ქაობში და მის გარშემო სულ მწარე ბალახი იზრდება, მისი ჭამა მხოლოდ გაჭირვების დროს შეიძლება: იქ, ტყეში და წყლის პირად მრავალი სან-უკარი საჭმელია. უბედურება ის იყო, რომ იმ ადგილებში კურდღლები მხოლოდ ღამით დადიოდნენ საჭმლის საშოვნელად, ისიც დიდის სიფთხილით: იქ ყოველნაირი მტაცებელი ნადირები ელოდნენ — ბუდან დაწყებული მგელამდინ. დღისით თვით უშიშარი კურდღელიც ვერ გაბედავდა იქ წასვლას. ასეთი გაბედულობა ყოველთვის უბე ურად თავდებოდა! გამბედავი კურდღელი ვეღარ უბრუნდებოდა თავის სამშობლო ქაობს... მრავალი კურდღელი იმსხვერპლა გაუფრთხილებლობამ. ჩვენმა კურდღელმა გასწია მთისაკენ იმ აზრით, რომ უსიამოვნება მიეყენებინა და საბოლოოდ დაეღუპა თავისი მეუღლე.

— მშვიდობით! — შესძახა მეუღლეს იმ იმედით, რომ ის პასუხს გასცემდა, შეაყენებდა, ცრემლით შეევედრებოდა.



მაგრამ ასე არ მოხდა. დედა-კურდღელმა ვიწრო-ვერსი-  
კი გიაგონა მისი ძაბილი. მეგობრის ამისთანა ვერაგობამ უზო-  
მოდ ააშფოდა კურდღელი. აღარაფერი საშუალება არ დარ-  
ჩენია: უნდა წასულიყო. უწმინდესი გრძნობა — კურდღლის  
თავმოყვარეობა — შეულახეს. თუმცა შიშით გული უსკდებო-  
და, მაგრამ მხოლოდ შიში ჰქმნის გმირებს. რაც უფრო მე-  
ტად ერეოდა შიში, მით უფრო ცდილობდა გულადობა გა-  
მოეჩინა და ხშირ ბალახის მაგიერ სწორე გზაზე წავიდა; ნე-  
ლა მიდიოდა და აქეთ იქით თვაწლს ავლებდა. უფრო საში-  
შარ ადგილას კიდევ დაისვენა: ჰე! ახლა დამინახონ სხვა კურ-  
დღლებმა! ჩემ შეულღეს-კი მგონია სული სძვრებაო.

ეს ამაყი ფიქრები არც-კი დაეთავებინა, რომ ჰაერში,  
ზედ თავზე, რალაკამ საშინლად გაიბმაურა, თითქო ზევიდან  
უშველებელი ქვა გადმოვარდაო. დიდი ქორი დაემიზნა თავის  
მსხვერპლს და საშინელი სიმაღლიდან დაეშვა. კურდღელი  
რალაკ სასწაულით გაუსხლტა ქორის ბრქვალებს და ისარივით  
ვაჰკურცხლა ტყისკენ.

აქ ახალი უბედურება დაატყდა თავს. იქვე ტყის პირად  
იწეა მგელი და რალაკას უდარაჯებდა. კურდღელი შიშით  
მგელს ზედ გადაახტა, თითქო გაისროლა ვინმემაო.

— ერთი უყურეთ ამ დაბრეცილ ეშმაკს!.. გაუჯავრდა  
მგელი ტუჩების ცმაკუნით: — შემაშინა ამ დაწყველილმა.

კურდღელი-კი გიყვივით გარბოდა, შიშით უკან ვერ იხე-  
დებოდა. გადირბინა ტყე და წყლის პირად ამოჰყო თავი. მე-  
ტი ვასაქანი ალაგი აღარ იყო. იქ ბუჩქებში წყლისაგან გა-  
მოფულრულ ტირიფის ფესვებში შეძვრა. აქ ცოტათი მოითქვა  
სული. ორჯელ ვადარჩა სიკვდილს... უჰ, რა საშინელებაა!

ნამდვილი შიში ახლა იგრძნო კურდღელმა, როცა სავ-  
სებით წარმოიდგინა მოახლოებული განსაცდელი და შიშით  
თვალეები დახუჭა. ეგონა, რომ ვილაც ყურს უგდებს იმის  
გულის ძგერას. აი რა შეამთხვია მუდღლის სიკერპემ. ერთად-  
ერთი სიტყვის თქმა-კი იყო საჭირო, რომ ის დაბრუნებოდა.

თავის სამშობლო ჭაობს, თავის სოროს. თუმცა ჭაობის  
ლაზი მწარეა, მაგრამ ჭაობის ბრწყალებს და მგლის კბილებს  
მაინცა სჯობია.

ეჰ, გონს გვიანლა მოვალთ ხოლმე...

## II

ის იყო მოსვენებას უნდა მისცემოდა, რომ ლაპარაკი  
მოესმა.

— ნამდვილად კურდღლის სუნია, ცოცხალ კურდღლი-  
სა, — ამბობდა მდინარესაკენ მიმავალი მგელი და ჰაერს სუ-  
ნავდა.

— მე არც კურდღელს ვხედავ და არც სხვის, — უპასუხა  
ქორმა, როგორც იქვე დაფრინავდა: — სცდები, მგელო. მარ-  
თალია, წედან ერთი კურდღელი მეცა ვნახე, მაგრამ ძალიან  
მარჯვედ გამეჭკა ტყისკენ.

— ეგ სწორედ ის იქნებოდა, რომ შემაშინა. წყვილი  
ტყის ქათმით ვისაუზმე: კურდღელი აღარ მინდა.

— მეც ვისაუზმე, — უპასუხა ქორმა, — ახლა უნდა დავი-  
სვენო.

— კარგი საქმეა ..

ქორი დაჯდა სწორედ იმ ტირიფზე, რომლის ფესვებ  
ქვეშ კურდღელი დაიმალა. მგელმა მიიჩინა მდინარესთან,  
შეხვრიტა წყალი და პიესალმა ქარიყლაპიას. რომელიც კუნ-  
ძივით უძრავად იწვა წყალში.

— ნათლია, უთუოდ შენც გისაუზმია? — შეეკითხა მგელი.

— დიად, — ზარმაცად უპასუხა ქარიყლაპიამ, — ცოცხალი  
იხვი შეველაპე და ორი კლდის თევზა. არა გვიშავს-რა: ცხო-  
ვრობთ როგორც არის... შენ როგორ-ლა ხარ?

— კარგად.

მგელი გაგორდა ბალახზე, რწყილები მოიძებნა და არ-  
ხეინად მიწვა, რომ საუზმის შემდეგ თვალი მოეტყუილებინა.



ჯერ თვალები დახუჭა, შემდეგ კი დაიფრუტუნა და წაიხრებოდა.  
 ლუნა:

— არა, ნამდვილად კურდღლის სუნია... განსხვავებული სუნია, რომელსაც არა შეედრება რა.

— ჯანაბას შენი კურდღელი, — წაიბუზღუნა ჩაძინებულმა ქორმა: შენ ვგ სწეულებად გადაგვეცა, რომ სულ კურდღლის სუნი გესმის.

კურდღელს შიშით სული ეპარებოდა. არა თუ მოძრაობას, სუნთქვასაც ვეღარა ბედავდა. ბევრი საშინელი წამები გამოუვლია, მაგრამ ასეთი მდგომარეობა-კი არ გამოუცდია.

არა მგონია — ქვეყანაზე რომელიმე სხვა კურდღელი ასეთ ცოცხალ მატეში გაბმულიყოს... თათები შეიკუმშა, გრძელი ყურები ზურგზე დაიწყო და თვალები დახუჭა: ცდილობდა დაპატარავებულიყო. ხსნის იმედი გადაუწყდა; კურდღელი სასიკვდილოდ მოემზადა: მეტი საღსარი აღარ იყო — მოაგონდა თავისი საცოდავი მეუღლე, ბაჭები, საკუთარი სორო და მიხედა, რომ დამნაშავე მხოლოდ თითონ იყო. რად წაეჩხუბა თავის მეუღლეს და გაიქცა მთისკენ?.. ეჰ, რაღა დროს ამის ფიქრია... აღარა ღირს... კურდღელს ეგონა, რომ უკვე მოკვდა და მის მაგიერად ფეხებში სხვა კურდღელი იმალება.

— რაზე კამათობთ? — ჩაერია ქარიყლაპია მგლის და ქორის ლ პარაკში: — კურდღელი ხელიდან გაუშვით? აი თქვე ჩურჩუებო... მე ცოცხალი არ გადამირჩებოდა.. მე ვერაფერს გამისხლტება... დიად... ყელშია-კი კბილები მაქვს. ჩემზე საშიში ნადირი არ მოიპოება.

-- დაიკვება ამანაც, — გაეცინა ქორს: — აბა სადა გაქვს ჩემისთანა ბჭუალები, ან ჩემისთანა ნისკარტი? რასაც ჩაგჭიდებ ნისკარტს, — ჩემია, ვეღარ წაშვია... ამ ცოტა ხანში ცოცხალი კრავი მოვიტაცე. ავალ მალლა-მალლა, გამოვარჩევ დავლას და ქვასავით დავეცემი... კურდღლებს აღარა ვთვლი, უანგარიშოს ვიჭერ... დიად... ქორზე საშინელი ნადირი არ არის.

მგელი ყურს უჯდებდა და ილიმებოდა. თუ-კი ამხანაგის დადგება საქმე, ქარიულაპიასაც და ქორსაც ერთ წაშში შეტყობავს. მგლის კბილებზე საშიში არა არის-რა...

— ჩემზე საშიშარი არაინ არის, — სთქვა ქარიულაპიამ. არა, მე ყველაზე საშინელი ვარ! — სთქვა ქორმა.

— რა სულელები ხართ: ყველაზე საშინელი მე ვარ... აი რა კბილები მაქვს! ვისაც ჩაეჭიდებ კბილს ველარაინ იხსნის. ხალხიც ასე ამბობს ჩემზე: მგელმა დაგლიჯაო. ჩემი ყველას ეშინია: რომ დათვალოთ — რაც მე კურდღელი, ცხვარი, ხბო, ძროხა და ცხენი დამილუპია .. არა, მე თითონ ვერ დავთვლი . დიალ. ჰმ... მაინც, ბატონებო, კურდღლის სუნი მოდის... არ გესმით?

— შენ ეგ სიგიჟე გჭირს, — ამხვიდებდა ქორი: სად არის კურდღელი... კიდევ რომ იყოს, აქამდის შიშით მოკვდებოდა.

მართლაც კურდღელს სიციცხლე აღარ ეტყობოდა. მეტად სასიამოვნო ლაპარაკი ესმოდა... აქ კიდევ სხვა მტაცებელი გადაეკიდა: ეს ობობა იყო, ამათ კამათს ყურს უჯდებდა და თან ქსელსა ქსოვდა; მერე ქსოვილზე ჩამოცოცდა და სთქვა:

— ბატონებო, რაზე კამათობთ? საქმე აშკარაა... ჩემზე საშინელი და ბოროტი არა არის-რა ქვეყანაზე. აბა ერთი წარმოიდგინეთ, მე რომ ქორის ოდენა ვიყო.... შემომხედეთ, რა თათები მაქვს, რა ლაყუჩები. ჩემთან ყველანი უსუსურები ხართ. თათებზედაც-კი მაქვს კბილები... თქვენ მე ვერ შემედრებით! მე... მე...

ამ ამბის გაგონებაზე კურდღელი კინალა? მოკვდა შიშით, თვალები დახუჭა და ფიქრით გამოესალმა ყველას, ვინც-კი ძვირფასი დარჩენოდა სამშობლო ქაობში.

— მე, ბატონებო, — განაგრძო ობობამ, — მე...

მაგრამ ველარ დაასრულა, რადგან ქორმა შეაყენა...

— სსსუ .. ის!

ყველანი ერთბაშად ჩაჩუმდნენ, სული განაბეს. ის მართ-



ლაც აქ იყო. სულ ახლო. ეს იყო საძაგელი, ტველი ცხოველი... ყველაზე საძაგელი იმისი ტიტველა პირისახე იყო, მეტადრე როცა დაშტერებით რასმე უყურებდა თავისი თვალებით. ვერც ერთი პირუტყვი ვერ გაუძღვებდა იმის თვალებს. ამ ტიტველა ცხოველმა საშინელი ღიმილი იცოდა. ახლაც ის ტყის პირად იდგა, მდინარეს უყურებდა და იღიმებოდა. მგელი შიშით უკან-უკან დაიწია და ჩავარდა იმ ორმოში, სადაც კურდღელი იჯდა.

— ეე, ძმაო, ხწორედ ამიტომ მომდიოდა კურდღლის სუნი, — სთქვა და დაუმატა: — არ გაინძრე, თუ ღმერთი გწამს... ნასაუზმარი ვარ, ხელს არ გახლებ. ერთი ის წავიდეს...

კურდღელმა გაბედა და ჰკითხა:


— ვინ ის?


— შენ არ იცი? ის — ადამიანი... ო... ო, ეგ ყველაზე საშინელი მხეცია!

ერთი წამის შემდეგ ისარ-ნაკრავი ქორი გადმოვარდა ხიდან; მგელი უნდა გაქცეულიყო, მაგრამ შურდულით გასროლილი ქვა მოხვდა. ცოტა ხანიცა — და ქარიცლაპია გამოათრის ნაპირზე. მაშინ კურდღელი გამოვიდა თავის სამალავიდან და უთხრა ოზობას:

— ახლა-კი აღარაფრისა არ მეშინიან, რადგან ამაზე უფრო საშინელ ამბავს ვეღარას ვნახავ.

თარგ. ელ. ანტონოვსკისა.





## ტყვეობაში.

**ქ**ნარ ოკეანეს თვალ-უწვდენ ზედაპირზე ოდნავ მოჩანს რამდენიმე კუნძული, რომლებსაც „მწვანე კუნძულებს“ ეძახიან. აქ არ იცის ქარი; ცაზე ვერ დაინახავთ ღრუბელს, ვერ ნახავთ კუდ ამინდს; აქ ბუნება მუდმივ ყვავის და იფურჩქნება; აქ არის სამყარო მუდმივი გაზაფხულისა.

კაცი უყურებს, და ჰკვირობს: რა ძალას უნდა შეექმნას ასეთი სიკვლეოცე და მოხდენილობა ბუნების ძალითა! ლაევარ დი ცა ზურმუხტის კარვად გადაჰფარებია ამ კუნძულებს და შორს ცის კიდე უერთდება ზღვის ლურჯ ზედაპირს. აქ ყველაფერი თვალის წარმტაც შუქით არის განათებული, მორთულ-მოკაზმული, — ყველაფერი სუნთქავს და ცოცხლობს სრული; ნამდვილი სიცოცხლით.

კუნძულების ნაპირები დაფარულია გაუვალ ტყეებით. თითქოს განგებას განზრახ მოუწყვიო აქ ისე, რომ არსაიდან ქარმა არ წამოპბეროს და კუნძულებზე ჰავა არ შეცვალოს. ტყეებში კელაპტარივით სწორე ხეები ამართულან; ხეებ შუა გაბმულან ათასნაირი მცენარეები და ერთმანეთში დახლართულან. ცხოველი მზე ეალერსება მაღალი ხეების ლამაზ წვეროებს და ტყის შუაგულში ვერ ატანს. ათასნაირი ყვავილები და ბალახეული ფერად ხალიჩასავით დაჰფენია მინდვრებს.



დილიდან საღამომდე. ამ კუნძულებზე სიკაცხლე მსდრისს...  
 დაბურულ ტყეში, მინდვრებზე, ყვავილებში და ბალახებში.  
 ყოველმხრივ ფრინველების საამური გალობა მოისმის; ჰაერ-  
 ში დგას სიყვარულისა და თავისუფლების ხმა. აქ ადამიანის  
 ყური ვერ გაიგონებს მოწყენილ ჰანგებს. როგორსაც ჰქმნის  
 მხოლოდ ტყვეობა და გაჭირვება.

აქ ყოველი მგალობელი უღარდელად დაფრინავს: მან არ  
 ცის, რა არის შიში და მორიდება. ის მუდამ მშვიდი და  
 მზიარულია. აქაც ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც თუმცა  
 ველურს ეძახიან, მაგრამ არ ნადირობს ფრინველებზე თავის  
 შესაქცევად; ნადირობს მხოლოდ მაშინ, როცა ჰშიან. უხერ-  
 ხულიც არის აქაურ მცხოვრებთათვის პატარა მგალობელ ჩი-  
 ტებზე ნადირობა. იმათ არა აქვთ რკინის მახე და კაკანათები,  
 არც საჭიროა ეს მათთვის. ფრინველთა საამური გალობა ერთ-  
 ნაირად გაისმის მინდორში, თუ ველური ადამიანის ქოხის დე-  
 რეფანში. ის სტკება ამ გალობით მთელი დღე, ვიდრე მზე  
 ზღვის ტალღებში არ დაიმალება და ცაზე უკანასკნელი წითე-  
 ლი სხივი არ გაჰქრება.

## II

განვლო დრომ. ქვეყნად ბევრი რამ გამოიკვალა და  
 მწვანე კუნძულები კი ძველებურადა ჰყვოდნენ. მათ არც ახ-  
 ლა აწუხებდათ ქარიშხალი და უამინდობა; განაგრძობდნენ  
 უბრალო, მშვიდ ცხოვრებას.

მაგრამ არც მწვანე კუნძულებს შერჩათ სამუდამოდ მყუ-  
 დრო ცხოვრება. ზღვის ზედა პირზე, ცის კიდურზე, გამოჩნდა  
 მთლად კვამლში გახვეული ვეებერთელა გემი; სწრაფად უ-  
 ხლოვდებოდა კუნძულებს და მოახლოვებას ზარბაზნის სრო-  
 ლით დღესასწაულობდა. საბრალო ადგილობრივი მცხოვრებ-  
 ლები შეშინდნენ და მთებში გადიხვეწნენ; ძლივს მოასწრეს  
 ოჯახების გაცლა. ფრინველებმა ზარბაზნის ხმაზე გალობა შე-



სწყვიტეს; ყვავილებმა დაღონების ნიშნად თავი დახატეს და მათი ჩამოკნენ. ბუნება სულ-გაკმენდილი ელოდა რაღაცას, უცნაურს.

დიღხანს არ დასჯირდათ მოლოდინი. ჩქარა ნაპირებზე მოკურდნენ ნავეები და კუნძულები მოიფინა თეთრ-კანიან ადამიანებით. ისინი ამაყად და შეუპოვრად დასეირნობდნენ ყველგან; იარაღს აჩხარუნებდნენ და ნადირს ეძებდნენ. საუბედუროდ, გულუბრყვილო მგალობელი ჩიტები მალე შეეჩვივნენ ამ ახლად მოვლენილ სტუმრებს. თოფის ხმასაც ჩქარა შეეჩვივნენ, რადგანაც მოსულები მათ არ ესროდნენ.

ასე განვლო დღემ და პირველმა ღამემ.

გათენდა მეორე დღე, და ფრინველებმა დაინახეს მიწაზე მოფანტული გემრიელი საკენკი მარცვლები. მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და გუნდ-გუნდად დაეშენენ მიწაზე მარცვლების ასაკენკად.

განვლო რამდენიმე წუთმა. ბევრი უკვე გაძღა და გაფრენას აპირებდა; მაგრამ ამ დროს ზვიდან რაღაც გადაეფარათ. დამფრთხალმა და შეშინებულმა ჩიტებმა დაიწყეს ფრთხილი და აქეთ-იქით წყვეტება; ცდილობდნენ განთავისუფლებას. მაგრამ ბადე უფრო-და-უფრო იჭიმებოდა და ჰხლართავდა ჩიტებს თავის ქსელში. ჩქარა მოვიდნენ თეთრ-კანიანები, შეიპყრეს ჩიტუნიები და ვალოებში გამოამწყვდიეს.

მშვიდობით, სამშობლო მხარე; მშვიდობით, ღამაზო ბუნება; მშვიდობით, ტოლ-მეგობრებო; მშვიდობით, თბილო ბუდეებო; მშვიდობით, თავისუფლებავ!

იგემა უდარდელმა კუნძულებმა მწუხარება და ცრემლები, ქვითინი და ტირილი, შიში და წყველა ტყვეობას გადაჩენილი ფრინველები მიიძალნენ დაბურულ ტყეებში; ჰაერში პირველად გაისმა მათი გოდება. დატყვევებულები ნაღვლიანის თვალთ გაპყრებდნენ მშობლიურ მინდვრებს, დამფრთხალ გადაფრენილ მეგობრებს.



## III

სწრაფად ტრიალებს გემის ჩარხი; გრიალებენ მანქანები, ხანხარებს და ზრიალებს უშველებელი გემი, — აპობს ზღვის ტალღებს და შუაგულ ზღვისკენ მიეშურება. თან მიჰყავს პატარა ტყვეები. უკვე რამდენიმე დღეა, რაც ისინი ველარ ჰედავენ ლაფვარდ ცას და კამკამა მზეს. მათ ბინაზე მუდმივი ბინდია გამეფებული და პატარა ჩიტუნებს ნალველს უორკეცებს. რკინის გალიებში ტყვეები არა ჰგალობენ და მხოლოდ დრო გამოშვებით აქა-იქ საბრალო წრიპინი გაისმის.

ბნელ კუნძულში, ერთ რკინის გალიაში, სხეუან ორი ჩიტი — და-ძმანი; ერთად მოჰყუნენ ბადეში და ერთადვე ჩასხეს გალიაშიაც. ჩიტები აბუზულები მიკუნძულან გალიის კუთხეში და პირს არ აკარებენ საკენკს; დღისით გაჩუმებულები არიან და მხოლოდ ღამ-ღამობით, როცა გემზე მებღვაურთა ფეხის ხმა შესწყდება, და-ძმანი გამოელაპარაკებიან ერთმანეთს: იგონებენ წარსულს, თავიანთ ოჯახობას, კუნძულებზე ტკბილად გატარებულ დღეებს და, თუმც ეს მოგონებანი უფრო უორკეცებს მათ ტყვეობის ტანჯვას, მაგრამ ღამეებს სამშობლოს მოგონებაში ატარებენ.

— ჩვენ ნუგეში არ უნდა დავკარგოთ, — ეტყოდა ხოლმე ხან-და-ხან ძმა თავის დაღონებულ დას, — შეიძლება როგორმე თავი დავახწიოთ ტყვეობას და დაებრუნდეთ სამშობლოში, თუ იმ დღეს შევესწარიოთ, რომ სასეირნოდ გამოგვიშვეს როდისმე გალიებიდან, მაშინ მოვეკურცხლოთ და მოგვდიონ უკან. იმედი მაქვს, რომ გზას ვიპოვნით. ბედმაც რომ ზურგი მოგვაქციოს და ცა ღრუბლებით მოიღუშოს, იმ შემთხვევაშიაც ფიქრი არა მაქვს: გული არ მომატყუებს და სამშობლოს მაპოვნინებს.

გაჩუმებული უსმენდა ძმის ოცნებას და დამპარებული თავსა ჰქინდრავდა.

გავიდა ასე რამდენიმე დღე. ერთ დღილას ტყვეების ოთახ-

ში გემის მოსამსახურე შემოვიდა, რამდენიმე გალია წამრასკანა  
 გრძელ ხეზე და ბაქანზე ამოიტანა. ცისა და მზის დასმანაზე,  
 თავისუფალ ჰაერზე ჩიტები მოკოცხლდნენ, მხიარულად შეი-  
 ფთხრიალეს და გემზე, მათი დატყვევების შემდეგ, პირველად  
 გაისმა თივილ-ხივილი. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს მოხდა.  
 ჩქარა შენიშნეს, რომ აქ მზე ისე არ ანათებდა, ცა ისე აღე-  
 რსიანად არ უღიმოდა ჩიტუნებს, როგორც მათ სამშობლო-  
 ში; და საწყალმა ჩიტებმა ისევ მოიწყინეს. საღამოთი აცივდა  
 და გალიები ისევ ძირს ჩაიტანეს. ღამე ქარიშხალი ამოვარდა,  
 ზღვამ დელვა დაიწყო და გემს ბურთივით ისროდა აქეთ-იქით.  
 გემი ებრძოდა მძლავრ სტიქიონს და ღამის სიბნელეში თავი-  
 სი მწვეტი ცხვირით აპობდა მის წინ ამართულ ტალღებს. ცუ-  
 დი დღე დაადგათ საბრალო პატარა ტყვეებსა, მათ თქვი-  
 ფრთის ქვეშ ამოედნათ და მთელი ღამე შიშით ცახცახებდნენ.  
 მოუთმენლად ელოდნენ გათენებას, მაგრამ არც გათენებამ  
 მოუტანათ კეთილი. მოღრუბლული დილა იყო და ცი-  
 ოდა. ამას შემდეგ სულ ცუდი ამინდი იდგა. მანქანები გრი-  
 ალებდა, ისმოდა გემის მძიმე ქშინვა და გზას კი ბოლო არ  
 უჩანდა. პატარა წამებულებს ყოველ დღე ამ ჯოჯოხეთურ  
 მგზავრობისა თვეებად და წლებად ეჩვენებოდათ.

## IV

აი როგორც იყო მგზავრობა გათავდა. ღუზა ჩაუშვეს  
 ზღვაში და გემიდან საქონელს დაუწყეს ზიდვა ნაპირზე. პა-  
 ტარა ტყვეებიც ამოიყვანეს ბნელ საპრობილედან და დიდ  
 სანაოსნო ქალაქის ქვა-ფენილ ქუჩებზე გამოიყვანეს. ქალაქის  
 მოძრაობამ და ხმაურობამ პირველ წამებში ისე გააოცა პატა-  
 რა ჩიტები, რომ აღარაფერი ესმოდათ და მხოლოდ მაშინ  
 მოვიდნენ გონს, როცა მეზღვაურებმა მათ გაყიდვა დაუწყეს  
 და ახალმა პატრონებმა თავ-თავიანთ სახლებისაკენ წაიყვანეს  
 ეს უცხო ჩიტები.



დააშორეს ერთმანეთს ჩვენი ნაცნობი და-ძმანი. საათემ იყიდა, პატარა წითელ შეღებულ ხის გალიაში ჩასვა; და-კი მდიდარმა ქალმა იყიდა და თავის მორთულ სასახლეში წაიყვანა. აქ მას განცხრომით ცხოვრება ელოდა. მდიდრულად მორთულ სადარბაზოში მარმარილოს მაგიდაზე იდგა იმისი კახტა თეთრი გალია მაგიდას გარშემო აუარებელი სამხრეთის მცენარეები და ყვავილები ჰქონდა შემომწკრივებული. გალიის წვრილი წკებლები და კუთხის ჩხირები ოქროთი იყო დაუფერილი. გალიაში ბროლის თეფში იდგა წყლით და რამდენიმე ბრინჯაოს ფანჯანი საცენკისათვის; აქვე ეკიდა პატარა სარკვეც.

რაწამს უცხო სტუმარი გალიაში ჩასვეს, ოთახში შემოცვივდნენ ბავშვები და საშინელი ხმაურობა და ქრიამული ასტეხეს ჩიტის დანახვაზე. ჩიტმა ბავშვების ქრიამულს ყური არ ათხოვა, ის თავის ფიქრებში იყო გართული, თავისი ძმა აგონდებოდა. ბავშვები ტკბილეულს სთავაზობდნენ, მაგრამ ჩიტი გალიის ერთ კუნჭულში მიიკუნჭა, და გადასწყვიტა არაფერი ენახა გემოთი და ამით თავის სიკაცსლე მოესწრაფებინა. მას მტკიცედ ახსოვდა ძმის სიტყვები, რომელიც ურჩევდა—შიმშილით დავიბოცნეთ და ნუ ვიცხოვრებთ თეთრ-კანიანებთან, რომლებმაც სისხლით შეღებეს ჩვენი მშვენიერი სამშობლო.

განვლო ორმა მძიმე დღემ. მშვიერი კუჭი თან-და-თან ძალას აძანდა პატარა მებრძოლს, ხოლო ხორბლის მსხვილი მარცვლები კი სიამოვნებით შესცივდნენ ბრინჯაოს ფინჯნებიდან. მაგრამ მან გადასწყვიტა შიმშილით სიკვდილი და ცდილობს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. „ღმერთო, მომეც ძალა და სიმხნევე, რომ ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება შევასრულო! მაგრამ არა უშავს-რა, გემოთ რომ ენახო მარცვალი: რას დააშავებს ორი სამი მარცვლის შექმა? განა ამით დარდი შემიმსუბუქდება? სრულებით არა!“..

მეორე დღეს სულ სხვა რამ მოხდა: ჩვენი ჩიტუნია ლა-

ზათიანად მიიძღა ხორბალს და ზედ ტკბილეულიც დააყოფო. ახლა ვალობაც მოუნდა, — და ჩქარა დარბაზში გაისმა იმისი წკრიალა ხმა. ოთახში შემოკვივდნენ ბავშვები და სულ-ვაკმედილეები ყურს უგდებდნენ პატარა მგალობელს. მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

— დაბე, დაბე, ჩიტუნია ვალობს, ჩიტუნია! — ყვიროდნენ ბავშვები და ვალიას გარშემო უვლიდნენ. ბავშვების ქრიალულმა მომღერალი გამოაფხიზლა; დაარცხვინა და გაჩუმდა.

მაგრამ ამ პირველმა ნაბიჯმა ამაოდ არ ჩაიარა; ამ დღიდან ტყვე შეეჩვია ახალ ცხოვრებას.

ყოველ საღამოთი ჭაღებით განათებული დარბაზი სტუმრებით ივსებოდა. სიამოვნებით უგდებდნენ ყურს ჩიტის ვალობას და ბევრი მათგანი ყურადღებით ათვალისწინებდა უცხო ფრინველს, აღტაცებაში მოჰყავდა მის სილამაზეს. ჩიტუნია გრძნობდა, რომ აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელნი და ცდილობდა უფრო მეტად მოეწონებინა თავი.

ორი კვირის შემდეგ ჩვენ მომღერალს კაცი ველარ იცნობდა: გასუქდა და უფრო ვალამაზდა. შეეჩვია თავის მშვენიერ ვალიას. აღარც ხალხს ერიდებოდა; დარბაზში დილიდან ხალამომდე ამისი ვალობა ისმოდა. ის ვალობით ეგებებოდა დილის მზის სხივებს; ვალობდა დღისით, ვალობდა საღამოთი, ლამპრის შუქზე. ვინ დაუშლის იმას ვალობას, როცა უამისოდ მას სიცოცხლე არ შეუძლიან!

სამშობლოში ის სხვანაირადა ვალობდა: უმღერდა მზეს, მინდორ-ტყე-ველს და ყვავილებს, უმღერდა სიყვარულს და თავისუფლებას. ახლა კი მან ჰანგები შეკვალა. ადამიანის ქებაში მას თავბრუ დაასხა და გუნება გამოუკვალა. იმის ხმაში ახლა აღარ იხატებოდა უწინდელი მზურვალე გრძნობა: ჩიტუნიას სისუსტის დასახასიათებლად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ის ჩქარა შეეჩვია ტკბილეულებს; მდიდრული საკმელები ეგებრივდა. ახლა რომ ძველ მეგობრებს ენახათ, ველარ იცნობ-



დნენ, ისე გასუქდა და დასრულდა. ხმაც გამოეცვალა და უწინდებურად სიმღერის ჩაწკრივება აღარ შეეძლო. დიახ, დიდი; დიდი ცვლილება მოხდა მასში!

იშვიათად-ლა აგონდება ახლა თავისი ხმა და უფრო იშვიათად საყვარელი სამშობლო.

## V

ძმას კი არ დაეიწყებია თავის და. მართალია—ის განცხრომაში არა სცხოვრობდა: მესაათეს ბინაზე მას არ ასვენებდა საათების ტაკი-ტუკი და ხმაურობა; მაგრამ მაინც დროსა პოულობდა და თავის ფიქრებს მიეცემოდა ხოლმე. ასეთ წუთებში ის სულიერად შორს იყო ხოლმე თავისი გალიიდან, ველარ ამჩნევდა საათის მალაზიას, მესაათის მოტიტვლებულ თავს და თავის გალიას. ყველა ამ საზიზღრობას ფარდა ჩამოეფარებოდა ხოლმე; ოცნება ბორკილებს ამსხვრევდა და თავის ჰაეროვან ფრთებით ჩვენ ჩიტუნიას შორს იტაცებდა. გაარბენინებდა ზღვებს, ოკეანეებს, თვალ-უწვდენელ უდაბნოებს, უღრან ტყეებს, მიუვალ მთებს და მიაფრენდა მწვანე კუნძულებზე მის საყვარელ სამშობლოში. აი, ხედავს კუნძულის ნაპირებზე ზღვის ლაქვარდ ტალღებს, ლამაზ ტყეებს. ყვავილებით მორთულ მინდვრებს. აი, იმისი დედ-მამა, ნათესავები, ტოლ-ამხანაგები ჩამომწკრივებულან ზის ტოტებზე და ჩამავალ მზის წითელ სხივებში გახვეულ ბუნებას გალობით ამკობენ.

ყოველთვის, როცა პატარა ტყვე ოცნებით იყო ხოლმე გატაცებული, მოხუცი მესაათე მუშაობას თავს ანებებდა, დიდ, რგვალ სათვალეებს შუბლზე აიწევდა, გალიას მიუახლოვდებოდა, ჩიტს უყურებდა და მწუხარებით აქნევდა თავის მოტიტვლებულ თავს.

— ტყუილად დაკვარგე ფული, — იტყოდა ხოლმე დალო-



ნებული: არა სურს ჩიტუნიას გალობა და ძალას ვერ სჯობს დროზე გავყიდო, — გაიფიქრებდა ხოლმე გუნებაში.

მართლაც, პატიმარმა დიდი ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა. რაც ხანი მესაათესთან დაჰყო, ერთი მარცვალი არ ჩაუშვია პირში. არა სურდა სიცოცხლე სხვის გასართობად; მხოლოდ ერთსა ფიქრობდა, რომ თავი როგორმე დაეღწია ტყვეობიდან.

მესაათემ ჩიტი მალე გაჰყიდა და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ნაცნობი ჩიტუნია იმავე სახლში მიიყვანეს, სადაც იმისი და ცხოვრობდა; მასთან ერთად გალიაში მოათავსეს. იმდენად არ გახარებია დის ნახვა, რამდენადაც გააკვირვა მასში მომხდარმა ცვლილებამ. საბრალო ჩიტი თავის თვალებს არ უჯერებდა, მაგრამ, თუ თვალმა მოატყუა, სმენა ხომ არა დაღატობდა! ჩქარა თავისი ყურით გაიგონა დისაგან, რომ ის კმაყოფილია ტყვეობაში ცხოვრებით, მოსწონს და უყვარს თავისი ოქროს გალია... ეს სიტყვები მისთვის მეტად მწარე მოსასმენი იყო. შეეცადა დის გულში გაეღვიძებინა მიძინებული გრძნობები, თავისუფალ ცხოვრების სურათები. მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ შიგ სამუდამოდ აღზოცილა წარსულის მოგონებები. ძალა-მიხდილი ჩიტი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და გამწარებული გალიას ახლიდა თავს. და კი ამ დროს აუშფოთებლად სხვა-და-სხვა ტყბილეულებს სთავაზობდა.

— გამოერკვიე ძილისაგან და მოიგონე საყვარელი სამშობლო, ჩემო კარგო! — ეუბნებოდა აღერსიანი კილოთი შეწუხებული ძმა გამაძღარ დას და აღელვებული თვალეებში ჩაჰყურებდა: — ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული. ერთი კარგი შემთხვევა და — ჩვენ თავს დავახწვეთ ტყვეობას.

— მერე სად უნდა წავიდეთ უკეთეს ალაგას? — ეკითხებოდა ხოლმე და, ზანტად იჩეჩებოდა და ისწორებდა თავის ყვითელ ფრთებს.



— როგორ თუ სადა?! შინ, სამშობლოში!

— ჩვენ სამშობლომდე ვერ მივალწვეთ და ტყუილად გზაში დავიღუპებით; ჩვენ გზა არ ვიცით: ან გზაში ვინ გვა-საზრდოვებს?

— გრცხვენოდეს! განა ჩვენ მდგომარეობაში მყოფი საქმელზე უნდა ფიქრობდეს?! მე თანახმა ვარ მწვანე კუნძულებამდე გემოთ არა ვნახო რა. ოღონდ კი თავისუფლებას ველირსო, რომ ჩემ მშვენიერ სამშობლოში თავისუფლად ფრენა შემეძლოს. თავისუფლებაში შიმშილი მირჩევნიან, აქაურ ტკბილეულებას.

— მე არ გეთანხმები... — უთხრა დამ, და რომ ეს უსიამოვნო ლაპარაკი შეწყვიტა, გალიის მაღლა ქანდარაზე შეხტა და გალობა მორთო.

— აი, ჰხედავ, გალობასაც კი ველარ ახერხებ! განა ეგ ჩვენი ქვეყნის ჰანგებია? დედა ჩვენ ეგეთ ჰანგებს არ გვასწავლიდა. რა დაგმართვია? როგორ შეგცვლია გუნება? უმჯობესი იყო ჩვენ სულაც არ შეგყროდით ერთმანეთს!

— სწორედ რომ მაოცებს შენი ლაპარაკი! აბა ცოტახანს იცხოვრე აქა და მაშინ დაინახავ, რა კარგ ცხოვრებაში ვართ. მე აქ ყველას ვუყვარვარ.

— მერე იმაზე არა ჰფიქრობ, რა მოგელის მაშინ, როცა ხმა გაგიფუჭდება და გალობას ველარ შესძლებ? მაშინ ხომ მოგიშორე ენ თავიდან, როგორც უვარგის ნივთს?

— მაშინ ვნახავთ, რაც იქნება, — უგემური სიცილით უპასუხა დამ.

ძმა ჯაერისაგან მთლად მოიკუნტა, კუთხეში მიიკუნტა და იმ დღეს ხმა აღარ ამოუღია.

## VI

მეორე დღეს, დილით, დარბაზში შემოვიდა. მოსამსახურე, ოთახს მოუარა, გალია გაწმინდა და გავიდა. გალიის კუთხეში მიკუნჭულმა ჩიტმა შენიშნა, რომ მოსამსახურემ გალიის კარები ოდნავ მიხურა და ერთი ფრთის შემოკვრა კმაროდა, რომ კარები მთლად გაღებულიყო. დადგა სანატრელი წუთი საბრალო ტუსალისათვის და მას გადაავიწვდა ყველა გამოვლილი ტანჯვა-უბედურება. სიხარულმა აიტაცა და მხოლოდ ორი სიტყვის თქმა-ლა მოახერხა:

— აბა, ჩვენ თავისუფლები ვართ და გავფრინდეთ!— ნულარ ვავიანებთ, გავფრინდეთ, ფანჯრები ღიაა!— გაიმეორა იმან და სიამოვნებით ფრთა-ფრთას შემოჰკრა.

— მეშინიან, ძალიან მეშინიან!— უპასუხა დამ, — მე ფრენასაც კი ვეღარ მოვახერხებ.

— არა უშავს რა! ნუ გეშინიან, მე დაგებმარები!

— ვერ, ვერ გავებდავ! გადაჭრით მიუგო დამ.

ძმამ მეტი ლაპარაკი აღარ გააბა, ეცა გალიის კარებს და ოთახში გავარდა; ჰერში ავარდა; — ერთი შემოტრიალდა ჰერში და შურდულივით გავარდა გარედ ღია ფანჯრიდან. დას ამის დანახვაზე გულმა წიწკნა დაუწყო. იმისი ძმა თავისუფლად დასკურავდა ცაში, სუფთა ჰაერზე; თავს დასტრიალებდა ამ სახლს, რომელშიაც დატყვევებული და ეგულებოდა. აგერ შემოჯდა ფანჯარაზე და ეხვეწება თავის დაიას, გამოფრინდიო. უმღერის საუკეთესო ჰანგებს თავის სამშობლოსას, ტირის, ევედრება თავი დააღწიოს ტყვეობას, მაგრამ და ყურს არ ათხოვებს ძმის მუდარას. ჩიტი გაჯავრებული გაფრინდა, ცოტა ხნის უკან ისევ მოფრინდა და ხვეწნა განაახლა, მაგრამ ყველაფერი ამაოდ დარჩა.

— რა ეთქვა საბრალო ჩიტს თავის დაზე სამშობლოში რომ დაბრუნებულიყო? ეთქვა, რომ დატყვევებულია და გა-



მოპარვა ვერ მოახერხაო? ეს ხომ ტყუილი იქნებოდა. ტყუილს კი ის ვერ მოხერხებდა. ჯერ ფრინველებს ვაძინებდა. ვლიათ ტყუილების ლაპარაკი. ისინი ჯერ კიდევ უმანკო ბავშვებმა ჰგვანან.

## VII

ერთ დილას მოფრინდა ჩიტი კიდევ იმ სასახლესთან, სადაც თავისი და ეგულებოდა და შენიშნა, რომ გალიაში იმისი დის ალავას წითელ-ფრთებიანი თუთიყუში იჯდა. გულმა დაუკვნესა საბრალოს. იგრძნო, რომ ეს კარგის მომასწავებელი არ იყო და არც მოსტყუედა: ჩქარა მოსწყინდათ ბატონებს ჩიტის გალობა, რომელიც ბოლო დროს უფრო ჭყიპინებდა, ვიდრე გალობდა, და მოსამსახურეს აჩუქეს. გამართლდა ძმის სიტყვები. ახალ პატრონის ხელში ცხოვრება განებივრებული ჩიტისათვის ძნელი ასატანი გამოდგა. მშვენიერ გალიის ნაცვლად ახლა ის ჩასვეს ხის გალიაში და ბნელ კუნძულში ჩამოჰკიდეს კიბის ქვეშ. მოსამსახურეს დაეხარა ჩიტის მოვლა და გაშვება მოუნდომა. პირველ წუთებში ჩიტს გაუხარდა, გალიის კარები რომ ღია ნახა, მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. სუსტმა ფრთებმა ვერ შეიმავრეს ჰაერში მისი გასუქებული სხეული და ჩიტი გაფრენის უმალ შურდულივით ძირს წამოვიდა და დედამიწაზე გაერთხო. რამდენჯერმე კიდევ შეიფრთხილა გასაფრენად, მაგრამ ამაოდ. ისმოდა მხოლოდ მისი გულ-საკლავი ჭყიპინი და ბოლოს ღონე-მიხდილი გულ-აღმა გაიშხლართა დედამიწაზე. ახლოს კატა იწვა და მზებნდა თბებოდა, იმან დაინახა ჩიტი, წამოდგა, გაჭიმა თავის რუხი წელი, ისკუპა და ჩიტი კლანჭებში მოიქცია. საბრალო ჩიტი მხოლოდ მაშინ მიხვდა რა ემართებოდა, როცა კატამ სახლის სახურავზე აარბენინა და შესაქმელად ეშაღებოდა.

გაახსენდა მწვანე კუნძულები, ძმა და შორს დატოვებული ბული მშობლები, ნაცნობ-ნათესაეები. აი დაინახა ლურჯი ცა

და შემოესმა წეროების ხმა. ჩიტების გუნდმა გადაიფრენა ხეების ხლის სახურავზე. გუნდში მან იცნო თავისი ძმა .. შემდეგ ვრძნობა დაკარგა და კატუნია მ ჩაახრამუნა.

ბევრი იმგზავრა მდიდრულ სასახლიდან გაქცეულმა ჩიტუნია, ვიდრე თავის სამშობლოს ცას დაინახავდა. აგერ გამოჩნდა ნისლში ვახვეული კუნძულის ნაპირები. ეს იყო იმის სამშობლო. გრძნობამ არ მოატყუა ჩიტუნია, გზა გაუკვლია და სამშობლო აპოვნინა. სრული ბედნიერების ნიშნად ვახრებულ ჩიტს ვულის სიღრმიდან ამოსქდა წკრიალა ხმა და მორთო ვალობა.

უვალობდა მშობლიურ მხარეს—გაუვალ ტყეებს, მწვანე ვალებს, ფერადოვან ყვავილებით დაფენილ მინდვრებს, ლურჯ ვალღებს და მზის ოქროს სხივებს. ის უვალობდა სამშობლოს და თავისუფლებას.

თარგმ. კლიმიაშვილისა.





## ივანე შალვაიშვილის სსოვნას.



ევრს თქვენგანს არც-კი გაუგონია ივანე შალვაიშვილის სახელი და გვარი, და იკითხავთ იმის ვინაობას, როცა სურათს დახედავთ. მე მინდა გაგაცნოთ მოკლედ, ჩემო მკითხველებო, თუ ვინ იყო ეს ჩოხაში გამოწყობილი მოხუცი, რომელსაც თქვენ აქ ხედავთ. ეს იყო ნამდვილი მეგობარი თქვენისთანა პატარაებისა, წრფელი შამობრივი სიყვარულით იყო აღსაყვამისი გული თქვენდამი. მას არ შეეძლო გულ გრილად შეეხედა სოფლის გოგო-ბიჭებისათვის, რომ მათთვის არ გამოეკითხა—დადიან თუ არა სკოლაში, იციან თუ არა წერა-კითხვა?—რა სოფელშია ცუნდა მისულიყო, არ შეეძლო არ ეკითხა არის თუ არა იქ სკოლა, რამდენი ბავშვი სწავლობს, როგორი მასწავლებლები არიან, აქვს თუ არა სოფელს შედლება სკოლის შენახვისა; არ შეეძლო არ მიეცა მრავალი ამისთანა კითხვები სკოლის საქროების შესახებ.

თქვენ უთუოდ ამგვარი ადამიანი . დიდი სწავლული გგონიათ, საშუალო ან მაღალი სწავლით აღჭურვილი. არა,

ჩვენი ივანე სრულებით უსწავლელი. კაცი იყო, სკოლაში არც კი უსწავლია. მამა მისი სიმონ შარაშიძე იყო ერთი უბრალო ნაღბანდი, დაბა ხონში, დედა—მებუჯის ქალი. შეძლება მცირე ჰქონდათ. თავის ერთად-ერთი შვილი არც უფიქრიათ სკოლაში მიეცათ. წერა-კითხვა, როგორც მისგან მაქვს გაგებული, ერთი ბერისაგან შეისწავლა; რუსული წერა-კითხვა ძლივს იცოდა, არც ქართულში იყო განვითარებული; მაგრამ სწავლა-განათლებას-კი ძრიელ აფასებდა. უსწავლელობამ ის უკან არ დასწია, არ და ჩაგრა, არ ჩამოარჩინა დღევანდელ ცხოვრებას. მან კარგად იცოდა, რომ სწავლა და მხოლოდ სწავლა არის ადამია ნის გამაბედნიერებელი, საზოგადოების წინწამწევი; ამისათვის ის არაფერს ზოგავდა, რომ თავის სამშობლო ხონში გაემრავლებინა სასწავლებელთა რიცხვი და მართლაც მიიღწია მიზანს. მთელი თავისი მცირე ქონება და სიცოცხლე შეაღო სასწავლებლების დაარსებას.

პირველად, მან დიდი შრომა და ხარჯი გასწია საოსტატო სემინარიის დაარსებაში. მახსოვს ერთ სადილზე მზრუნველმა ბ. იანოვსკიმ მიუთითა ხელი სემინარიის შენობას და უთხრა ივანეს: „ივანე სიმონის-ძეე, აი თქვენი ძეგლიო!“

შემდეგ გახსნა ორ-კლასიანი საქალბო სასწავლებელი თავის სახლში; ამ სკოლაში ვიყავი მე მიწვეული ივანესაგან მასწავლებლად.

მახსოვს, ის ხშირად მეტყოდა ხოლმე: „იტა, თუ გინდა კარგი მასწავლებელი იყვე, ბავშვები შეიყვარეო“. უბაროდა ძრიელ, როცა სწავლის შემდეგ მე ჩემ შეგირდებთან ერთად ვბჭოდი, ვთამაშობდი, ვმღეროდი. რა საშინელი ტანჯვა იყო მისთვის, როცა სწავლის ფულის შემოუტანლობისათვის იძულებული ვიყავით ბავშვი დაგვეთხოვა; თვალ-ცრემლიანი იტყოდა: რატო მე არ მაქვს დიდი შეძლება, რომ ბავშვის ცრემლი არ დავინახო ამ შემთხვევაშიო.

ან კიდევ როცა ბავშვი რამე დიდ დანაშაულობას ჩი-



დენდა, და მასწავლებლები და გადაწყვეტდით მის დაუბოვანს სკოლიდან, ჩვენს გადაწყვეტილებას ივანე სისრულე შეაჩვენებდა არ მოგვყავინებდა.—წაგვეჩუბებოდა და არ მოგვცემდა ნებას დაგვეთხოვა; „თქვენ უნდა გაასწოროთ ბავშვი, ეცადეთ იმოქმედოთ მისზე ზნეობრივად, თორემ ხომ დაიღუპა, საწყალი ოჯახი სულ ვერ გაასწორებსო, იმისთვის მოგაბარესთ, რომ ბავშვი აქ გაიზარდოს. ვაზრდა რომ შესძლებოდა საწყალ კაცს, ხომ სახლშიაც ვაზრდიდაო და სხე... როცა დაინახავდა—რომელიმე ბავშვი უსაუზმოდ იყო, შეიყვანდა ოთახში, გადასცემდა მოხუც დედას და ეტყოდა: „დედილო, თუ გიყვარდეს გააძღე, მშიერია ბავშვიო.“

რამდენი მაგალითი მოვიყვანო მისი გულკეთილობისა და უზომო სიყვარულისა ბავშვებისადმი!

ის პატარა ქალთა შკრლა, რომელიც მაშინ ხუთ-განყოფილებიანი იყო, მისი მზრუნველობით გადაკეთდა ოთხ-კლასიან მარინეს სასწავლებლად. ბევრი სასწავლებლის დაარსებაში მიიღო მხურვალე მონაწილეობა და დაუდგა სათავეში ივანე ხონში. მისი დაულალავი შრომის შედეგა, როგორც ვთქვი, საოსტატო სემინარია, ვაჟთა გიმნაზია, სახელოსნო სასწავლებელი და სხვები.

რაც რამ შეძლება ჰქონდა, სულ ამ კეთილ-საქმისათვის უნდოდა, თავისათვის ბევრს არას ხარჯავდა. ამ ენკენისთვის ვინაზე ივანე და უთხარი: მოისვენე—აწი, გეყო, დასტკბი 'მენი ნაშრომით მეთქი. მაგრამ მან თვალვებ-გაბრწყინებულმა აჩქარებით მითხრა: „ქალო, ვიცი მალე მოგვკვდები, მაგრამ ისე არ მინდა მოგვკვდე, რომ სახალხო უნივერსიტეტის საძირკველი არ ჩავყარო ჩემს ეზოშიო.“

ეს ნატვრა აღარ აუსრულდა ამ დაულალავ უანგარო მუშაკს, მაგრამ, როგორც ვაგიგეთ, თვისი შეძლება დაუტოვებია ამ საქმისათვის.


ასეთი იყო ივანე!



საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, კეთილო, წყნარად და  
შაკო!

მადლიერი ხონელები არ დაივიწყებენ მის ამავს და  
თქვენც, პატარებო, გახსოვდესთ ეს ყოველად კეთილი სა-  
ზოგადო მოღვაწე და ახალგაზრდობის მოამაგე.

იტა ნაკაშიძე.





# საქართველო.

(რწმუნა და ჩვეულებანი).

## ქვეყნის შექმნა.



ველად ქართულში და დღესაც—მეგრულსა და სვანურში კვირის დღეების სახელები ასეთია:

ქართ.	მეგრ.	სვან.
შუისა (დღე)	ვეშხა	მიშ (და)—დელ.
თთვარისა	თუთაშხა	დოშდიშ
არისი	თახაშხა	თახაშ
ერმისა	ჯუმაშხა	ჯიშაშ
აფროდიტისა	კაშხა	კააშ
დიოსისა	ობიშხა	ვობიშ
კრონოსისა	საბატონი (საბატანი)	საფტინ.

მეგრულსა და სვანურშიაც კვირას ჰქვიათ **შუისა** \*), ორ-შაბათს—**მთვარისა**, ხოლო დანარჩენ დღეებს სხვა ვარსკვლავების სახელები, სიხელდობრ თახასი, რომელიც უდრის ბერძნულს არია; ჯუმასი (ჯიმასი), რომელიც იგივე ბერძნ. ერშიაა, კასი (=ბერძნ. აფროდიტი), ობისი (ვობისი)=დიოსი.

\*) მეგრ. ბჟა—სვ. მიყ—შხე.

ამ სახელების მაგიერ რუსთაველი უკვე სხვა სახელებს ხმარობდა. ერთგან იგი ამბობს (ტ. 944):

„აჰა, მაწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნოვე შემოწმებანი:  
მზე, ოტორიდა, მუშთარა და ზუად ზემთვის ბნეპიანი,  
მთვარე, ასნაროზ, მარხი მთედენ და მოწმად ზეკებანი“.

აქ დაურთავთ ამ მნათობების აღწერას თანახმად ხალხის გადმოცემისა. მზესა და მთვარეს შამა ერთი ჰყვანდათ, ხოლო დედები—სხვა-და-სხვა. ორთავენი მნათობნი იყვნენ. ღმერთმა გამოუცხადა: თქვენ შვილებში ერთი დღის მნათობი—მზე უნდა იყოსო, მეორე-ეი—ღამის მნათობი, მთვარე. მზედ ყოფნა სამ-ჯობინო იყო. რომელიც მოასწრობდა დილით ადრე ადგომას, ის უნდა ყოფილიყო მზე. ერთის მნათობის შვილმა კინკარი და ეკალი დაიგო და დაწვა დასაძინებლად: დილით მე ავა-სწრობ და მზედ გავხდებიო. პირველ ხანს ბევრი იფხიზლა სიმწევისაგან, მაგრამ ბოლოს, გათენებისას, ღრმად დაეძინა. მეორის შვილი ადრევე ჩაწვა ლოგინში, დაიძინა, დილას ადრიან გამოიღვიძა, იქცა მზედ და წავიდა მსოფლიოს გასანათებლად. მის მეტოქეს გვიან გამოეღვიძა და მთვარედ იქცა. სიმკნარისათვის დედა გაუჯავრდა და ცხვირ-პირში კომიანი ხელი ჩასცხო. ამის ბრალია, რომ მთვარეზე ლაქებივით მკრთალ წერტილებს ვხედავთო.

მზე-გმირი კაბუკია. ღამე ზღვაში ჩადის, ზღვითვე მიემგზავრება აღმოსავლეთისკენ და დილას ადის ცაზე, საცა აქვს სპილენძის სახლი, ვენახები. შუადღისას სადილობს. მზე თვითონ არ ანათებს, არამედ მისი ტანისამოსი. საღამოს შინ ბრუნდება. დედასთან ერთად იძინებს. საცმელს რომ გაიხდის—ბნელდება; დილას რომ ჩაიკვამს—ნათდება. ზღვაში ჩასვლის დროს მზე ოქროს აბნევს. თუ ამ დროს კაცმა კვერნის ტყავი ზღვაში ჩაუშო, ოქროთი დაიფერება. მთვარეს ერთი მხარე ბრწყინვალე აქვს, მეორე—შავი. მზე და მთვარე მადლიანნი არიან.



თუ რა სქესისა იყვნენ მზე და მთვარე, სწანს <sup>საქართველოს</sup> <sub>ეროვნული</sub> <sup>ბიბლიოთეკა</sup> <sub>საქართველოს</sub> <sup>ეროვნული <sub>ბიბლიოთეკა</sub>  
 ბიდან:</sup>

ნათელმა მთვარემა ბრძანა:  
 „ბევრით შე ვფობივარ მზესა.“  
 დაჯდა, დასწკრა წიგნება,  
 ზენა ქარი შაათრევსა.  
 მზეს რომ კაცი მოუვიდა,  
 მზე ძაღვან გავაგრდასა:  
 „შე და ვარ და ის ძმა არის,  
 რად ვძულდებათ ერთმანეთსა!“

მაშასადამე, მზე ყოფილა და და მთვარე—ძმა. კახთა გადმოცემით, მთვარე იმიტომ არის ძმა, რომ იგი გულმყარია და დადის არა თუ მარტო დღისით, როგორც მშიშარა მზე, არამედ ღამითაც. მიუხედავად ყველა ამისა, მზე მაინც სამჯობინაროა, ამიტომ რომ მთვარე უამინდობისას გზებს ვერ გააშრობს, გაყინულს ვერ გააცოცხლებს. მაგრამ, სხვა გადმოცემით, მზე ძმია, გმირი ჭაბუკი, რომელიც მთვარესავით მალვით კი არ დადის ღამის სიბნელეში, არამედ დღისით, გაბედულად, ვაჟკაცურად.

სვანურ გადმოცემით, მზეს ჰქონდა სპილენძის სახლი. იგი იყო ჭაბუკი. ტანთ ეცვა ბრწყინვალე საცმელი. ანათებდა არა თვითონ მზე, არამედ მისი ტანისამოსი. ჩვენი მემატრიანე მზის ღმერთს არმაზს ასრე აგვიწერს: „აჰა დგა კაცი ერთი (არმაზი) სპილენძისა. ტანსა ეცვა ჯიჟვე ოქროისა და ჩაფხუტი ოქროისა (ზვევით უკვე ვთქვით, ოქრო მზისთვის იყო შეწირულიო). სამხართა ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი. ხელსა აქვნდა ხმალი ღესული, რომელი ბრწყინვიდა და იქცეოდა ხელსა მისსა.“ მემატრიანევე განაგრძობს: „ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემლნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემლნი, ქვეყანისა ნაყოფთა გამპრდელნი, — ქართლისანი არმაზ, და ზადენ, ყოელისა დაფარუ-



ლისა გამომძიებელნი, და ძუელნი ღმერთნი მამათა ზვენიანთა  
გაკო და გა. (შატბ. კრებ. X საუკ. გვ. 37).

სტრაბონი ამბობს (4, 7): „აღბანელნი თაყვანს სცემენ ღმერთებს—შხეს, ზეეს (დიოსს) და მთვარეს, მეტადრე ამ უკანასკნელს.“ დიოდორე სიცილიელის ჩვენებით ღმერთის მზის ტადარი იყო აგრეთვე კოლხეთს, ზღვის პირზე. ბერძნებისავე მწერლების ვადმოცემით თვით ფაზისი (რიონი) იყო შვილი მზისა, კოლხა—ძე ფაზისისა, აფეთი—ძე მზისა. აფეთი ბრწყინავდა როგორც ოკეანედან ამომავალი მზის გული. მისი ეტლის ცხენები ისე სწრაფნი იყვნენ, ვით ქარი, და იგინი მოეცა მისთვის ღმერთს იხეს.

აფხაზთა ვადმოცემით მზე არის თვალი ცისა, გამათბობელი ქვეყნისა. მზის ლოცვა: „მზეო, ნუ მოგვაკლებ წყალობას, სითბოს, სინათლეს, სიკეთესა და წარმატებას. მიანიჭე ჩვენ ქალებს სილამაზე, სიმშვენიერე, მოხდენილობა, რომ იგინიც შენსებრ ანათებდნენ, ბრწყინავდნენ და ათბობდნენ ვაჟაკებს.“

ფშავთა დიდება ასე იწყება: „დიდება ღმერთსა, დიდება მხესა, დიდება მზის ყოველ ანგელოზსა.“

მთვარე. ჩვენი ღმერთი მთვარე უდრის ბერძნულ არტემის ანუ არტემიდას. მისი საკეობო და აგრეთვე მის ძმის აპოლონისა იყო აწყურში (ქ. ცხ., 44). ჩვენში მთვარეს მზის ძმად სთვლიდნენ: ძმაა, რადგან მხესავით მშიშარა არ არის, დღელამე დაიარებაო; საბერძნეთში იგი მიიჩნდათ მზე-ღმერთის აპოლონის დად არტემი, დაი აპოლონისა, ქალწული ღმერთი მთვარე, დადის მთებსა და ტყეშიო, ნადირობსო, იბანება ცივ წყაროებშიო, მთვარეელობას უწევს მონადირეებს, ღამე აჩენს ცხოველ ცვარ-ნამს, ემტერება მეზღვაურთ (მის გულის მოსაგებლად საღმრთოდ სწირავდნენ ადამიანებს. იგი იყო ღმერთი ნოყიერებისა: მიწას ანაყოფიერებს, ქალთ შვილებს აძლევსო. მას სახავდნენ ქალის მსგავსად ბევრი ძუძუებით - ნიშნად უხვობისა. მის საკერპოში იყო ბევრი შეიარაღებული ქალი.



დიოდორე სიცილიელი ამბობს, არტემის ტაძარი ააშენეს კონსტანტინე პირველის მეფის აიეთის ცოლმა ჰეკატემაო.

აღბანიაში (საქართველოშიაც), როგორც მოწმობს სტრაბონი, არსებობდა სამება—**მზე, ზევსი და მთვარე**, და ეს უკანასკნელი ითვლებოდა უმთავრეს ღმერთად. ქალღნი უშველებელ დიდ ქალს, ხაოსის პატრონს, უწოდებდნენ თათა=თაუთა, და ეს იყო ღმერთი მთვარე, ზღვა. ეგვიპტეში მთვარე ღმერთს ერქვა თოთ=თუთა. შეადარე:

ეგვიპტ.	ქალღური	ქართული	მეგრ.	სვან.
თუთა	თაუთა	თუარე	თუთა	დოშდულ
თუთა	"	თთვე	თუთა	დოშდ
"	"	თთვისა	თუთა-შ-ხა	დოშდიშ

(ორშაბათი)

გვირის მზისა და მთვარის მტერია გველაშაპი, რომელიც ხანდახან ეჭიდება მათ და ცდილობს ჩაყლაპოს. ამ დროს მზე და მთვარე ბნელდებიან. საჭიროა მათთვის შველა, გველაშაპის მოკვლა თოფით. ამიტომ იმართება ხოლმე ჩვენში სროლა მზისა თუ მთვარის დაბნელებისას.

**თახა.** სამშაბათს ერქვა თახაშ ანუ არიასი. არია იყო შვილი ზევსისა და ღერასი, ღრუბელთა ქალ ღმერთისა. იგი ითვლებოდა სიმბოლოდ ამბოქრებულ ცისა, ქარიშხლისა. შემდეგ შეიქმნა ღმერთად ომ-ბრძოლისა, ლაშქრობისა. იგი შეიარაღებული მვომარია, მრისხანე, მღელვარე.—არიას ტაძარი, ბერძენთა მწერლების გადმოცემით, იყო კოლხეთში, მეფის აიეთის ქალაქის ახლოს. აპოლონ როდოსელი (250—200 ქრ. წ.) ამბობს: „მეომარ კოლხების ქვეყანაშია მდ. ფაზისი, რომელიც ამარანთას მთებიდან გამოდის. აღმა რომ გასცუროთ, დაინახავთ ქუთაიდის მეფის აიეთის ციხეს და ჩრდილოვანსა და წმინდა ქალაკს არეისა. აქ საშინელი გველაშაპი არე-მარეს განიშტრობს, უდარაჯებს ოქროს საწმისს, რომელიც გართბულია მუხის წვერზე. ამაზონები ამ არიასა-



გან დაიბადნენ, ამიტომ მათი საქმეა მეომრობა. აფეთქების შედეგად შვილია და თავის თავზარ-დამცემ ხმითა და დიდის ღონისა შეედრება არიას. თვით საწმისის მცველი გველაშაპი აქვე, კავკასიაში, დაბადებულია. არგონაველნი რომ აღმა მისცურადნენ ფაზისზე, მარცხნივ დაინახეს კავკასიონი და აფეთის ქალაქი კუთაის (Khuttai-polis), მარჯვენა-კი იყო არიას მინდორი და წმ. ჰალაკები ამ ღმერთისა. არეი ამზონების წინაპარია და ასწავლა მათ მეომრობა, იარაღის ხმარება, საომარ რაშებზე ჯდომა და ცხენების გაშენება, მოვლა. პავზანი პერიეგეტს (70 წ. ქრ. შ.) შეუტყვია, საბერძნეთში არიას ტაძარი კოლხეთიდან გადმოიტანესო. სახელი არია ჩვენ დღესაც გვესმის სახალხო სიმღერაში: „არი-არალო, თარი-არალო.“ არიას სწორი თახაც, აღბად, მეომრობის ღმერთი იყო.

**ჯუმა** = სვ. **ჯიმა**. მის სწორი არის ერმი, ჰერმესი (მერკური), მოციქული ცისა, ღრუბელთა (წვიმის) მპარველი, საბალახოების და მწყემსების მფარველი, თავიდან მოხერხებულად ამცილებელი უბედურობისა, მწე იმითი, ვისაც შეუძლიან მოხერხებულად ილაპარაკოს, მართალი დამალოს, მიეფეროს, გულხათბობილი იყოს. იგი იყო აგრეთვე მფარველი ვაჭრობისა, რიტორობისა, მოციქულობისა.

**ცა**. ამას, როგორც ნაჩვენები იყო, უდრის აფროდიტე-რომელიც ეგვიპტეში მიანდათ ურანიად (ურანია-ცა) (იხ. ქვემოთ—ეფროდიტე). ცის იგივეობაა ზეცა (= სვან. დეც—ცა), რომელიც უახლოვდება ბერძნულს ზეცს და ლათინურ Diis-ს. სტრაბონის ჩვენებით ხომ ჩვენში იყო სამება—მზე+ზევისი+მთვარე.

**აბი** = ვობი, ბერძნ. დიოსი—გივე ზეცისა. ბერძნების გადმოცემით, ზეცის არის ღრუბელთა შემკრები, ტაბტს მჯდომი ეთერზე, მრყეველი ელვარე ფართია (წვიმის ღრუბლით), განმაცხოველებელი და განმაყოფიერებელი მიწისა, დამადგენელი წეს რიგისა, დამცველი მართლიერებისა, მფარველი სჯულიერებისა, მეტადრე საოჯახო წესისა და სტუმართ მოყვარეობისა.



იგი აძლევს კეთილდღეობას მეფეებს, ერს, ქალაქებს და თემებს. მთავრობას ავალებს კეთილად იზრუნოს ქვეყნის მოსახლეობის. იგი თვით ქვეყნარტებაა, წყარო კეთილისა და კეთილშობილებისა. იგია მამა ქალღმერთებისა, რომელნიც არაინ სიმბოლონი დრო-ყამთა, წელიწადის ცვლილებათა და კაცთა ცხოვრების მსვლელობისა. იგი მამაა მგოსნობის ღმერთისა.

### ცეცხლის თაყვანისცემა.

**ცეცხლი.** ცეცხლის თაყვანისცემა ისევე ძველია, ვით ადამიანის ოჯახი, კერა, ბინადრობა. ბერძენთა მწერლების გადმოცემით, როგორც ზევით შევნიშნეთ, პრომეთეოსი იმითომ მიჯაჭვა ღმერთმა, რომ მან ციდან ცეცხლი მოიტაცა. ცეცხლი, მეტადრე მისი ალი, ძველადგანვე მიიჩნდათ მზის ემბლემად: მასავით ახურებს, მასავით ანათებს. იგი გააღმერთეს ყველგან, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს, ალაგეს მისთვის საკერპოები, წმიდად ჩასთვალეს თვით ის ადგილიც, საცა ინთებოდა ცეცხლი, ე. ი. ოჯახი, კერა.

თქმულის დასასურათებლად აქ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ქართველთა მიერ ახალწლის დღესასწაულის წესებზე.

ვის არ მიუღია მონაწილეობა ახალწლის დღეს გარედან თითო ღერ შეშის შემოტანასა და ცეცხლზე შეკეთებაში?

საინგილოში არის განსაკუთრებული ღარტის ხე, რომლის შტოებს ახალწლის წინა დღითვე ჰკაფავენ, რომ მეორე დღეს სახლის ყველა წულმა შეუტყლაშუნოს ანთებულ ცეცხლს, ნაპერწყლები გააძინოს და თან წამოიძახოს: „ღმერთო, ასე გაგვაპრავლეო.“

გურიაში „ცხემლის“ (რცხილის კრას და თხილის ყლორტებისაგან ჩიჩილაკის შემზადებას საღმრთო მნიშვნელობა აქვს. თხილის ყლორტს სკრიან, სხვავენ და მერე ათლიან



მრავალ ჩიჩილებს (ჩინჩხვრებს), ხელოვნურად ამაგრებენ, ვინაიდან ვენ მით ხონჩას ბოკელით, კვინკელით და სხ. და მერე ახალწლის გათენებისას სახლის ყველა მამაკაცობა უფროსთან ერთად გადიან გარედ. უფროსი იღებს ხელში ჩიჩილაკს და მოადგებიან სახლის კარს, საცა დგას, შიგნიდან, დიასახლისი.

კარი გამოხურულია. ხმა გარედან:

— კარი გაგვიღეთ!

ხმა შიგნიდან:

— რა მოგაქვს?

— წმ. ბასილე მობძანდება, მოაქვს კაცთა მშვიდობა, თეთრი და საქონელი მრავალი.

— რა მოგაქვს?

იგივე პასუხი.

— რა მოგაქვს?

იგივე პასუხი, — და კარები იღება. მკვლევარნი შედიან სახლში, საცა განათებულია წმინდა სანთელით ყოველივე: კედელ-ყურე, ხონჩა, საქნელ-სასმელი და სხ. მკვლევარნი უფროს მამაკაცის წინამძღოლობით საღმრთო მოწონებით უფლიან კერას სამგზის. ერთი მამაკაცთაგანი, რომელსაც ქილით თესლეულობა უჭირავს, მუჟა-მუჟა აბნევს მარცვალს და თან შესთხოვს ღმერთს სიუხვეს მოსაველისას. ქალები ამ დროს დიასახლისის მეთაურობით ცალკე დგანან და მათ ეგებებიან მამაკაცი. ჩიჩილაკს ათავსებენ საბატო ადგილას. მამასახლისი ილოცება, ღვინოს ანთქრევს, ითხოვს ოჯახის დღეგრძელობას, ნაღვერუალზე აკმევს საკმეველს. დანარჩენებიც ლოცულობენ: „ღმერთო, აღმზარდე, მომეც გონიერება და ბედნიერება.“ ახლა იმართება სროლა. უმიზნებენ ანთებულ წმინდა სანთელს. ვინც სანთლის აღს მოარტყამს და გააქრობს, ის შეიქების ყველასაგან, როგორც უკეთესი მსროლელი. მას იმ წელს მოელის გამარჯვება. სროლის შემდეგ იწყება კალანდის (ახალწლის ცეცხლის მილოცვა. ყველა თითო ღერ რცხილას უმატებს ცეცხლს სიტყვებით: „ცეცხლო, ღმერთმა მრავალი კალანდა მშვიდობით გაგიტენოს შენი ბატონიანა.“ შემას რომ



კარგა მოცილება და დამუგუზლდება, ფეხბედნიერად მიდის ბოსელოსა, საჯინბოსა და საქათმეში იქაურობის მისალოცად, სდებს კარებში მუგუზალს, თან იძახის: „ცხენო, ღორო, ქათამო, ღმერთმა მრავალი კალანდა გაგიტენოს შენი ბატონიან-პატონიანა.“


კალანდას ულოცავენ აგრეთვე გათხოვილ ქალს. ვინმე სახლისწულთაგანი მიართმევს მას საკალანდო, საღმრთო „არჩივს“, ნაწილს: დაკლულ ქათამს თუ ღორის ღორცის ნაქრებს.

საქართველოს სხვა ადგილებშიაც, ცოტა მეტ-ნაკლებობით, ასეთივე წესები აქვთ ახალწლის და კერიის ცეცხლის მილოცვისა. კერიის უსაღმთოება გამოიწვია იმან, რომ ადამიანი იმთავითვე თაყვანს სცემდა ცეცხლს და შეუნდობელ კოდვად მიიჩნდა ამ ცეცხლის ჩაქრობა, დავსება. არსებობდნენ ცალკე მოხელეები, უმეტესად—ქალწულები, რომელთაც უნდა მარადის ეღვიათ ცეცხლი კერაში და ეზრუნათ, იგი არ გამქრალიყო. ივინი ამისთვის ხმარობდნენ განსაკუთრებულ შეშას, მოკრილს წმ. ხისაგან. მასვე სწირავდნენ საკმეველს, ღვინოს, საღმრთოს. კერიის გარშემო ჩვენში დღესაც, არათუ მარტო ახალს წელს,—არამედ სხვა დროსაც სრულდება მთელი ღვინომოქმედება საკმლის კმევით, ღვინის გარდაქცევით. ინგილოთა ძველი დედაბრები ანუ წმ. ცხოვრებით ცნობილი „ბებრები“ მომაკვდავს აწვენდნენ კერიის პირას და აზიარებდნენ ნაცარ-ნარეც ღვინით და პურით.

დღესაც ჩვენში უდიდესი წყევლაა „ოჯახი გაგიქრეს,“ „კერა გაგინელდეს,“ „ოჯახი დაგვესოს.“ უწინ ხომ ეს არა თუ მარტო წყევლა იყო, არამედ შეუნდობელი დანაშაულოც. ცეცხლის თაყვანის მცემლობა რომ ჩვენში მეტად გაძლიერებული იყო, იქიდან ჩანს, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგაც კარგა ხანს მეფეები მას ფულეგზედაც სახავდნენ.

მოსე ჯანაშვილი.

(შემდგეი იქნება).



## ტროადის ომი.

აქილევისის ფარი.



ფევესტოსმა, მოისმინა რა ფეტიდა ქალღმერთის თხოვნა, დაუყოვნებლივ სამკედლოსაკენ გაემართა და აქილევისისათვის სამხედრო იარაღის მზადებას შეუდგა. ჰეფესტოსის ღვთაებრივმა ხელებმა ელვის სისწრაფით შეკვდა ისეთი მბრკვევინავი ფარი, რომელსაც ვერ გაუჭერებდა თვალს დედამიწაზე ვერც ერთი მომაკვდავი.

ხელოვნური რამ იყო ეს უზარმაზარი და მაგრად შეკედლილი ფარი, რომელსაც მარჯვედ ჰქონდა მიმაგრებული ვერცხლის საკიდი. ამ ხელოვნურად მომზადებულ ფარს ათი სხვა-და-სხვა შინაარსის, საუცხოვო, თვით ფარზედ გამოხატული სურათი ერთი ორად ხელოვნურად ხდიდა. დიდებულ ნამუშევარ ფარის შუა ადგილას დახატული იყო დედამიწა, ცა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ამ სურათის მაზლობლად გაშენებული იყო ორი ქალაქი. ერთს მათგანში ქორწილი გაეჩაღებინათ. ქუჩები ავსებული იყო ხალხით. განსაკუთრებით კი ახალგაზღობა სჭარბობდა. ყველგან სიცილი, ხარ—

ხარი, საამური სიმღერა და მუსიკა გაისმოდა, ყველგან ჩაბნეულ  
 რულო ფერხულში ჩაბმოდნენ. ქუჩები ფარნებით საუცხოვოდ  
 გაეჩირალდნენბინათ.

ბედნიერ მეფესა და დედოფალს ქალაქის ქუჩებზე ახალ-  
 ვახლობა სიმღერითა, ცეკვით და ქიანურის დაკვრით  
 მზიარულად ეგებებოდა და ბედნიერ დღეს ულოცავდა. იქვე  
 ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე თავი მოეყარა ურიცხვ საზოგა-  
 დოებს. მომრიგებელ მოსამართლეს გარს შემორტყმოდა  
 ხალხი და თავის უთანხმოებას და საჩივარს უცხადებდა სამა-  
 რთალის მისაღებად.

მეორე ქალაქს გარს შემორტყმოდა მტრის ძლიერი ლა-  
 შქარი და განადგურებას უქადოდა. დედაკაცები, ბავშვები  
 და მოხუცებულები ქალაქის კედლებზე ასულიყვნენ და მტრის  
 წინააღმდეგ გალაშქრებას ეპირებოდნენ. მძიმედ შეიარაღებუ-  
 ლი მამაკაცები კი თავდავიწყებით იერიშით მტერზე მიდიოდ-  
 ნენ და სამშობლო ქალაქის დასაცველად სიცოცხლეს არა-  
 ზოგავდნენ. მოქალაქეთა თავგანწირულ რაზმებს წინ მოუძლოდ-  
 ნენ ომიანობის ღმერთი მარსი და ათინა ქალღმერთა, რო-  
 მელნიც ოქროს ტანთსაცმელებში იყვნენ გამოწყობილი.

ღმერთების პირისახის დიდებული გამომეტყველება და  
 საერთო ახოვანი შეხედულება მტრის რაზმებს შიშის ზარს  
 სცემდნენ და გულში გამარჯვების იმედს უკარგავდნენ. იქვე  
 საუცხოვოდ გადაქიმულიყო მწვანედ აბიბინებული ველი, რო-  
 მელზედაც მუდამ თავდარიგი მწყესები ამოვებდნენ ცხვრის ფა-  
 რას და ნახირს. მწყესებს უახლოვდებიან მძიმედ შეიარაღებუ-  
 ლი კაცები, რომელთაც განძრახვა აქვთ ძალით მოიტაცონ  
 თეთრი შატყლით შემოსილი ცხვრები და კვერცხივით გაღესი-  
 ლი, მძიმედ მოსიარულე ძროხები. მეორე ადგალას შეიარა-  
 ლებულნი კიდევაც თავს ესხმიან მწყესებს და სასტიკად შე-  
 ებრძოლებიან ერთი მეორეს.

მეოთხე სურათი მნახველს თვალთ წინ უშლიდა დიდ ნა-  
 ფუძარს, რომელსაც ოთხი კაცი ღრმად ხნავდა. ნაფუძარის

კუთხეში თოხით ხელში იდგა ერთი კაცი და გამველებს მისთვის მღვდელს ღვინით უმასპინძლდებოდა.

მეხუთე სურათი წარმოადგენდა უკვე დამწიფებული პურის ყანას, რომელსაც ვერცხლის ნამგლებით მკიდნენ მომკვლევნი. სხვა-და-სხვა ადგილას პურის ძნები თვალ-უწვდენელ მთასაგით ამობურთულიყვნენ. ჯან-ღონით სავსე ყმაწვილები შლიდნენ უხარ-მაზარ ძნებს და სახლისაკენ ეზიდებოდნენ. ყანის პატრონი ჯობით ხელში კუთხეში გაჩერებული იყო და მხიარულ პირისაბით შესცქეროდა ყანაში მარდად მომუშავეთ. შორი-ახლოს მოსჩანდა გრძელ ტოტებიანი ხე, რომლის ქვეშ მზარეულები მუშებისათვის გემრიელ სადილს ამზადებდნენ.

ამ ყანის მახლობლად გადაქიმულიყო დიდი ზვარი. ოქროს ყურძნის ვაზები თითქო დნებოდნენ ვერცხლის ქიგოებზე. მთელი ზვარი შემოზღუდული იყო ცისფერი ფოლადის თხრილით. ზვარში აქა-იქ ვადიოდა საცალფეხო მიხვეულ-მოხვეული გზა. ახალგაზდა ქალებსა და ვაყებს საუცხოვოდ დაწულ კალათებით გამოჰქონდათ ზვრიდან გემრიელი ყურძენი. ამ ქალ-ვაყს შუაში მიუძღოდა ახალგაზდა კაცი, რომელიც მუსიკას უკრავდა და თან სამღერლად ყელი მოეღერებინა.

აქვე ზვრის მახლობლად თვალ-უწვდენელ მინდორზე სძოვდნენ ოქროსა და სხვა ძვირფას ლითონებისაგან შექმნილი ხარები. ზოგ ხარს ნიშნად კმაყოფილებისა აეწია თავი მალა და თითქო გასაგონის ხმით მხიარულად ღმუოდა. მარჯვნივ მარდად ჩამოჩუხჩუხებდა მდინარე, რომლის ორთავე ნაპირი ლერწმის ხეებით იყო დაბურული. ორს გრძელ ფაფარიან ლომს მიწაზე წაუქცევია დიდი უხარმაზარი ხარი და საცოდავის ზურგზე ბასრ კბილებს აელვარებენ. ოთხი მწყემსი შუბებით ხელში ლომებისაკენ მიეშურებიან და სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გამოცხადებას უპირებენ. გულ-ნატკენი მწყემსების ძაღლებიც ლომებისაკენ მიეჩქარებიან, ზოგნი კი

დედაც ლომებს მიახლოებებიან, მაგრამ შიშით ვერა-  
ნიათ-რა და კუდებ-ამომუებულნი ყფით უკან ბრუნდებიან.

ამ საუცხოვო სურათს თან მოსდევს უფრო დაბლობი ადგილი, რომელზედაც თითქო ზღვაში დასკურავენ ვერცხლის მატყლოვანი ცხვრები. ამ დაბლობ ადგილზე კოპწიად გამართულია ვერცხლის ფარეხები, რომელშიაც მწყემსები ლამ-ლამობით აბინავენბენ თავის საუცხოვო ცხვრის ფარას.

ცოტათი მოშორებით ახალგაზდა ვაჟებსა და ქალებს ერთი მეორესათვის ხელი ხელს ჩაუკიდნიათ და ფერხულში ჩაბჭულნი მწყობრად თამაშობენ. ქალებს ხუჭუჭ თმაზე დაუხურავთ ცოცხალი ყვავილებისაგან დაწნული გვირგვინები, ვაჟები-კი შეიარაღებულნი ოქროს ხმლებით ერთი მეორეს ეჯიბრებიან:—ხალხი მოთამაშე ახალგაზდობას გარს შემორტყმია და სიამოვნებით შესცქერის მოხდენილ თამაშს. ერთი მომღერალი, რომლის ღვთაებრივი ხმა მსმენელთ ყურთა-სმენას უტკობდა, ბანზე გაჩერებულიყო და თან ქნარზე ხელოვნური თამაშით ყველანი ალტაცებაში მოჰყავდა.


ფარის გარშემო ხელოვნურად არშიასავით თან ზდევდა საუცხოვო სურათი, რომელიც აშკარად ხატავდა ზღვისა და ოკეანეს ამობოჭრებულ სტიქიონს აღელვების დროს.


ჰეფესტოსმა გმირთა-გმირ აქილევსს გაუმზადა გარდა ამ საუცხოვო ფარისა შესანიშნავი ჩაჩქანი და სხვა სამხედრო იარაღი, რომელიც დიდის თავაზიანობით გადასცა ფეტიდა ქალღმერთას.

ფეტიდას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.


ქალღმერთამ უღრმესი მადლობა შესწირა ჰეფესტოსს, დიდის თავაზიანობით გამოეთხოვა და ელვის სისწრაფით დაეშვა ოლიმპოსის მწვერვალოდან.

ა. მიქაბერიძე.





## აბრეშუმი და მზარეშუმი.



ვინ არ იცის რა არის აბრეშუმი? მე მგონია, რომ არ მოიპოვება ისეთი ღარიბი სოფელი, სადაც დედაკაცებმა არ იცოდნენ რა არის აბრეშუმის ბაღდადი. აბრეშუმისთანა მშვენიერი, ბრწყინვალე ქსოვილი სხვა არ მოიპოვება ქვეყანაზე.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩითი, მატყლი, ტილო იქსოვება

ბამბისა და სელის ძაფებისაგან; შალეულობა—მატყლის ძაფისგან. აბრეშუმი რაღა არის? საიდან ჩნდება: ეს საუცხოო ძაფება, რომლისგან ასეთ მშვენიერ ქსოვილებს ამზადებენ? ზოგიერთი უეციკი აღამიანი არც-კი დაიჯერებს, რომ ამ ძაფებს გვიმზადებს ჩვენ ჭია.—ჭია და ძაფი! ეს ხომ უცნაურობა არის: რაა საერთო მათ შორის?—იტყვის მკითხველი. სწორედ ამაზე მინდა დღეს გავმართო თქვენთან საუბარი, ჩემო მკითხველებო.

ზოგიერთმა თქვენგანმა უთუოდ იცის, რომ ყოველი მცენარე იზრდება განსაზღვრულ ადგილას. იშვიათად შეხვდებით რომ ერთი და იგივე მცენარე ხარობდეს ცივსა, ცხელ



და ზომიერ ჰავაზე. მისთვის საჭიროა თავისი სამშობლოს მზგავსი ჰავა, ნიადაგი და სხვა პირობები.

აფრიკაში და სხვა ცხელ ქვეყნებში იზრდებიან მშვენიერი სხვა-და-სხვა პალმები. რომ მოვისურვოთ და ერთი იმ მცენარეთაგანი გადმოვიტანოთ ჩვენ სამშობლო ცივ მხარეში, აი, თუნდ სიანეთში, და დავრგოთ ბაღში, ის ერთ კვირასაც ვერ იცოცხლებს, ვერ აიტანს ზამთრის სუსხს; ზამთრის გრძელი ღამე მოუსპობს მას სიცოცხლეს. სათბუნებლებში-კი, სადაც ადამიანი უმზადებს ცხელ ქვეყნის მცენარეებს შესაფერ ნიადაგს და მუდამ ერთი ზომის სითბოც არის, პალმა ხარობს, მაგრამ იშვიათად ყვავის; თუ აყვავდა, ხილს არასოდეს არ იძლევა.

ხალხმა ვაიგო ზოგიერთი მცენარის სარგებლობა, ვაიგო, თუ რომელი მხარე დედამიწის ზურგზე ჰგავს სხვას ჰავითა და ნიადაგით; მაშინ დაიწყეს ერთი ქვეყნიდან მეორეში სასარგებლო მცენარეების გადატან-გადმოტანა. მაგალითად კარტოფილი, ეს ნაყოფიერი მცენარე, იზრდება ველურად მხოლოდ ამერიკაში; ახლა-კი მოდებულია მთელ დედამიწის ზურგზე, ამისთვის რომ მისი ნაყოფი მეტად გემრიელი და მარგებელია ადამიანისთვის.

კომპოსტო ველურად იზრდება ინგლისში, საბერძნეთში და სათათრეთში; ახლა-კი იშვიათად შეხვდებით ისეთ მხარეს, სადაც ბოსტნებში კომპოსტო არ იყოს დათესილი. ადამიანმა შეიგნო იმის სარგებლობა. ალუბალი არ იყო ევროპაში, ის ხარობდა აზიაში, აგრედვე ჩაი, ყავა, ახლა-კი ყველა თბილი ქვეყნები მოყენილი არიან ალუბლის ხეებით, ყავა ჩინებულად ხარობს ამერიკაშიც, ჩაის-კი, როგორც წინად გიამბეთ, ჩვენშიაც, დასავლეთ საქართველოში ახლა თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ერთსა და იმავე მცენარეს შეუძლია სხვა-და-სხვა ქვეყნებში იხაროს, ოღონდ ჰავა და ნიადაგი იქ მის სამშობ-

ლოსას ჰგავდეს. როგორც კართოფილი გადმოტანილდა ქვეყანაში ამერიკიდან, ალუბალი და ჩაი აზიიდან, ისე სხვა მრავალი მცენარეებიც, მათ შორის თუთის ხეც, სხვა ქვეყნებიდანაა გადმოტანილი.


თუთის ხის სამშობლო არის ჩინეთი, სადაც ის იზრდება ველურად ტყეებში. იქიდან გავრცელდა ყველა მებოძელ ქვეყნებში. შემდეგ, გაიგეს თუ არა, რა სარგებლობა მოაქვს ამ ხეს, გადმოიტანეს ჩვენშიაც და სხვაგანაც, სადაც-კი ჰავა და ნიადაგი კოტათი წააგავდა ჩინეთისას.

რა სარგებლობა მოაქვს ამ ხეს?

ნუ თუ მისი პატარა გემრიელი ნაყოფისათვის გავრცელდა ასეთი სისწრაფით ეს მცენარე?—სრულებითაც არა!

თქვენ იქნება გაგონილიც გაქვთ, რომ თითქმის ყოველ მცენარეზე ცხოვრობს ერთი ან რამდენიმე პატარა ცხოველები, ზოგი მათგანი საზრდოობს მცენარის ფოთლით, ზოგი ძირებით, ზოგი ნაყოფით. ყველა ეს ცხოველები დიდად აზარალებენ მცენარეს და მასთან ადამიანსაც. ეს ცხოველები პატარები არიან და იწოდებიან ბუზებად, მატლებად, ობობებად, პეპლებად და სხვა. თვითვეული მათგანი ცხოვრობს ერთს რომელსამე მცენარეზე, რომლითაც ის საზრდოობს; თუ მოისპო ის მცენარე, მოისპობა მისი მტერი ცხოველიც. მაგალითად ავიღოთ მელნის ბუზი. ეს პატარა ცხოველი ზერეტს მუხის ფოთოლს და დებს კვერცხებს. ამ ნახვრეტიდან გამოდის წვენი, რომელიც ზედვე მაგრდება და ფურცელზე მეკვიპად იქცევა. ასეთი მეკვიპი მუხაზე ბევრია; იმათ აგრძობენ და მელანს აკეთებენ. ეს ბუზი ადამიანს ზარალს არ აძლევს თითქმის არაფერს, სარგებლობა კი მოაქვს. სადაც მუხა არ იზრდება, იქ არც ეს ბუზი ცხოვრობს. სულ სხვაა კომბოსტოს ქია, ის დიდი მახარალებელია მებოსტნისა და სკდილობს მოსპოს იგი.

სწორედ ამგვარად თუთის ხესაც ჰყავს თავისი მტერი, ჩვენი კი დიდი მოყვარე—მოამაგე—აბრეშუმის ჰეპელა.



ეს პეპელა ეკუთვნის ღამის პეპელების ჯიშს. უშნო, უღამაზო რამ არის იგი: მსხვილი მუცელი აქვს და მოთეთრო ფრთები, რომლებსაც არ უმშვენებენ შავი ხალები, როგორც კომბოსტოს პეპელას.

ეს პეპელა სდებს კვერცხებს თუთის ფოთოლზე გაზაფხულზე, როგორც რამ გაიშლებიან ახალი კვირტები თუთაზე. ამ კვერცხებიდან გამოძვრებიან მოშავო მატლები, რომლებიც ხარბად ეწაფებიან ახალ გაშლილ ნაზ ფოთლებს, სკამენ და იზდებიან. ცხოვრობს ეს ჭია ერთი თვე; ამ დროს ის იცვლის კანს ოთხჯერ; ყოველი კანის გამოცვლის შემდეგ უფრო ხარბად სკამს და ჩქარა იზრდება. როცა მეოთხედ გამოიცვლის კანს, ერთი კვირის შემდეგ ჭია აღის ზედა ტოტებზე, გამოუშვებს მილიდან, რომელიც პირს ქვეით აქვს, ძლიერ წმინდა ძაფს; ეს ძაფი ძლიერ წააგავს ობობას ქსელს. ამ ძაფით ჭია მიეხმება ტოტზე, შემდეგ იხვევს გარს ძაფებს და აკეთებს ამგვარად ბუდეს—პარკს. ახვევს სულ მწყობრად, მარჯვნიდან მარცხნივ, იმ დრომდე, სანამ ეს პარკი არ გამაგრდება და მასაც არ გამოეღვევა ის სითხე, რომელიც ძაფად გამოდის ჭიის სხეულიდან.

პარკი ასეთი მაგარი და მჭიდრო ჩაქსოვილი არ იქნებოდა, რომ ჭია ძაფთან ერთად არ უშვებდეს იმავე მილიდან წებოიან სითხეს, რომლითაც ეს ძაფები ეწებება ერთმანეთს. ამნაირად პარკი მაგრდება. ბოლოს, როცა პარკი მზად არის, ჭია უკანასკნელად იცვლის კანს, და იქცევა უძრავ ჭიად.

გადის ამის შემდეგ თოთხმეტი დღე. მძინარე ჭია იღვიძებს, გამოუშვებს პარკიდან ერთგვარ სითხეს, ასველებს მითი პარკის წებოს, აწვება თავით, სწყვეტს ძაფებს და ძვრება პარკიდან თეთრი უშნო პეპელა, რომელიც მალე იშრობს ფრთებს, სდებს კვერცხებს და თვითონ მალე კვდება.

როცა ჩინელებმა გაიციეს ამ პეპელას ყოფა-ცხოვრება, გაიგეს, რომ მისი კვერცხებიდან გამოჩეკილი ჭია აკეთებს პარკს, რომელიც შესდგება ერთ გაუწყვეტელ ძაფისაგან,

სიგრიძით 235 საე., მოიგონეს ამ ძაფის ამოსახვევი იარაღები დაკვირვებით შეიტყვეს რა არის საჭირო რომ წებო გააღონ და მოაშორონ ძაფს და დაიწყეს ძაფების ამორჩევა.

შემდეგ ძლიერ მალე შეამჩნიეს, რომ ამ ქიას ჰყავს მტერი — ერთგვარი ბუზი. ეს უცნაური მწერი თავის წვეტიანი ბოლოთი ხერცხს ქიის კანს, სდებს შიგ კვერცხებს, რომლიდან მალე გამოდიან პატარა მატლები; ეს მატლები შეესვენენ აბრეშუმის ქიის შიგნულს და საზრდოობენ ქიის სხეულით. ამგვარად მრავალი ქიები იხოცებიან ჰაერზე. აგრეთვე მათ ძრვიელ ეტანებიან ფრინველები. ამგვარი კირის თავიდან ასაცილებლად ჩინელებმა დაიწყეს ქიისთვის სადგომების შენება. გადმოიტანეს კვერცხები, გააცოცხლეს სახლებში, სადაც ისინი უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ. არც ფრინველები და არც მწერები იმათ არაფერს ავნებდნენ.

ნამდვილად არავენ იცის, თუ როდის დაიწყო აღამიანმა მეაბრეშუმეობა. ჩინეთში არსებობს ერთი ზეპირ-გადმოცემა, თითქო პირველად აბრეშუმის ქიის სახლში მოშენება დედოფალს სილინგ-ჩის დაეწყო, რომელიც ახლა ჩინეთში ითვლება მეაბრეშუმეობის ღმერთად.

ევროპაში აბრეშუმის ქსოვილები პირველად შემოტანილი იყო 46 წელს ქრისტეს დაბადებამდის. იმდენად ძვირფასი იყო, რომ მხოლოდ მეფეები იცვამდნენ. 275 წ. ქრისტეს შემდეგ აბრეშუმის ქსოვილები ოქროს წონად იყიდებოდა.

ადვილი ასახსნელია, თუ რად იყო ასე ძვირი. ჩინელებს არ უნდოდათ, რომ სხვა ხალხს გაეგო მათი საიდუმლო ისინი სასტიკად სჯიდნენ იმათ, ვინც გაბედავდა აბრეშუმის ძაფის გატანას სხვა ქვეყანაში. კვერცხების გატანა ხომ შეუძლებელი იყო სიკვდილს არ ასცდებოდა, ვინც ამ საქმეს ჩაიდენდა; აგრეთვე აკრძალული იყო თუთის ხის ნერვის ან თესლის გატანა უცხოეთში.



ვეროპის მეცნიერებმა დიდხანს არ იცოდნენ, რა არის ეს იყო აბრეშუმი. ზოგი ამბობდა:—ობობას ქსელია; ზოგი ფიქრობდა—უთუოდ უცხო ხის ქინქლიაო და სხვ.

140 წ. წინაღ ქრისტეს დაბადებამდის ერთი ჩინელი მეფის ასული დანიშნული იყო ბუხარის მეფეზე. ამ ქალს ისე უყვარდა მებარეშუმეობა, რომ მალულად გამოიკერა თავის ქუდში რამოდენიმე თესლი თუთის ხისა და აბრეშუმის პეპელის კვერცხები; ამგვარად ბუხარას მოედო მებარეშუმეობა; აქედან ისევ ქურდულად გადავიდა სპარსეთში, ინდოეთში და აზიის სხვა სახელმწიფოებში. ყველა იმას ცდილობდა, რომ სხვებს, უცხოელებს არ შეეტყობთ ეს საიდუმლო და არ დაჰკარგოდათ ის აურებელი შემოსავალი, რასაც აბრეშუმის ქსოვილები აძლევდა.

მეექვსე საუკუნეში ქრისტეს აქეთ ჩინეთიდან დაბრუნებული საბერძნეთში ორი მოქადაგე ბერი; იმათ კარგად შეისწავლეს მებარეშუმეობა, მოიპარეს თუთის ხის თესლი და პეპელის კვერცხები, ჩაყარეს თავის გრძელ ლერწამის ჯოხებში და ამნაირად გაავრცელეს საბერძნეთში; აქედან გადავიდა იტალიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, სადაც მებარეშუმეობამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია: ლიონის აბრეშუმის ქსოვილები მთელ დედამიწაზე განთქმულია, თვისი ს მშვენიერით. ჩრდალოეთ-იტალია წარმოადგენს თუთის ხეების ბაღებს. აქ ყველანი ერთნაირის ხალისით ეკიდებიან მებარეშუმეობას, როგორც მდიდრები ისე ღარიბები, მოხუცი და ახალგაზრდები.

მეთექვსმეტე საუკუნეში მებარეშუმეობა გადავიდა გერმანიაში; იქ უფრო ღარიბი ხალხი მისდევს მებარეშუმეობას: სოფლის მასწავლებლები, მღვდლები, მოხელეები და ღარიბი მემამულეები. ყოველ საავადმყოფოსთან, თავშესაფართან გა-

შენებულია თუთის ხეების ბალები. პრაზილიაში (სამხრეთ-აღმოსავლეთ რიკა) და ავსტრალიაშიც-კი ხალხი ახლა ეწევა მებაბრეშუმეობას.

ერთი სიტყვით—მებაბრეშუმეობა შემოდებულია ახლა ყველგან, სადაც-კი ხარობს თუთის ხე.

იტა ნაკაშიძე.

(დასასრული იქნება).






## გეოგრაფიული ამოცანა

მოცემულია შემდეგი სიტყვები:

1. სამაზრო ქალაქი განჯისკენ, 4 ასოსგან?
2. სოფელი სიღნაღის მაზრაში, 5 ასოსგან?
3. სოფელი გორის მაზრაში, 10 ასოსგან?
4. სადგური და სოფელი გორის მაზრაში, 6 ასოსგან?
5. სამაზრო ქალაქი გურიაში, 8 ასოსგან?
6. ძველი სოფელი გორის მაზრაში, 5 ასოსგან?
7. სოფელი თელავის მაზრაში, 6 ასოსგან?

ამ სიტყვების პირველ ასოებისგან შეადგინეთ იმ ადგილის სახელი, სადაც თამარმა საშინლად დაამარცხა თათრები.



მ-10 №-ში მოთავსებულ გამოცანების და ზარადის  
აღსნა:

1. ციციხეთელა. 2. სიმინდი. 3. შოთა რუსთაველი.

---

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

# 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურბთებულ საუბაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ“-ზე

← წელიწადი მერვე ←

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მოძწერლებს მიუცემბათ:

**24 წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემბათ წლიურ ხელის მოძწერლებს

← დასურბთებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა. ←

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 5 მან. ნახევარ წლით — 3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, შუბალაშვილის ს., გოლოვ. პრ. № 8. Редакция „Накадули“ Голвинский пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მდარაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში** — ისაიდორე კვიციანიძესთან, თ. შანგიანიშვილთან, და მარამ ურუხანიშვილთან. **სამტრედიისში**: ივანე გლადკოვთან, ფოთში — თეოფილე კანდელაკთან. **ბათუმში** — კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინსარიძესთან. **დ. ხონში** — ეკატერინე ვასილას ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში** — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო შატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ვასილ ასულედიანთან და ივანე უღიაშვილთან. **გორში** — ხანო ღომურთან და ქეთევან ურუხანიშვილთან. **სოხუმში** — კნ. მარამ ანსაძესთან. **ქიათურაში** — ივანე კომკლანურთან, **განჯაში** — ბ. აშბაქაძესთან **ერევანში** — კ. ოდიშარასთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი



# „განათლება“

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „განათლება“ გამოვა ყოველთვის და რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხე-  
ი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯა-  
ბში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავ-  
ა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან  
ა, სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ეპოქაში „განათლება“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ  
აზრ და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიუ-  
ის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მოხაწილებას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები,  
მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათ-  
ს ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს სამი მა-  
თი და ათი შაური (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით ორი მანეთი  
მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხვე-  
ლებს ჟურნალი დაეთმობათ ორ მანეთად და ათ შაურად (2 მ. 50 კ.);  
ხლვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ  
ოჯახების“ წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან და „ნაკადულის“ რე-  
ქციაში. ქუთაისში წიგნების და გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ისიდორე კვი-  
რიძესთან, ბათუმში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება  
ლვე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

დაქცია ყოველგვარ დონისმიცებს სძარბებს ჟურნალის თანდათან გა-  
საუქმობის შესახებ.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская  
Гимназія Л. Г. Бодвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.